პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 141 (9301)

კვირა

15

ივნისი

1952 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ყოველმხრივ მოვემზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).

კრიტიკისადმი ფორმალური დამოკიდებულების წინააღმდეგ — „პრავდის“ 14-VI მოწინავე (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება — ძარხნის პარტორგანიზაცია და კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთები (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მთავრობის ნოტა ვენესუელის მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ (მე-2 გვერდი).

ა. თომაძე — კომუნიზმის შუქი ფოლგიდან (მე-2 და მე-3 გვერდი).

მოსავლის აღებისათვის ყველაფერი გაკეთდეს ზადებიან (მე-3 გვერდი).

პასუხი შეკითხვაზე — რას [illegible] თუ ხელშეკრულება“ (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

ყოველმხრივ მოვემზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის

მთავრდება სკოლებში საგაზაფხულო გამოცდები. მოსწავლეები და მასწავლებლები, სკოლები და სახალხო განათლების ორგანოები აჯამებენ სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგებს.

საერთო მიღწევებთან ერთად საგაზაფხულო გამოცდებმა გვიჩვენა დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანიც. ეს იმის შედეგია, რომ გასული სასწავლო წლისათვის სკოლებისა და სბავშვო დაწესებულებების მოსამზადებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, მშრომელთა დეპუტატების ბევრმა საქალაქო და რაიონულმა საბჭომ, პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა თავის დროზე დამაკმაყოფილებლად ვერ იმუშავეს. მაგალითად, ზუგდიდის, სამტრედიის, გურჯაანის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენის, კასპის, ახმეტისა და სხვა რაიონებში შეუწყნარებლად გააჭიანურეს სასკოლო შენობების რემონტი, არ უზრუნველყვეს სკოლები სათბობით და აუცილებელი სასწავლო ინვენტარ-მოწყობილობით. სკოლების რემონტისათვის გამოყოფილი თანხები არც თბილისში იყო სათანადოდ ათვისებული. სასწავლო წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკის სკოლები უზრუნველყოფილი არ იყო რეეულებით. განსაკუთრებით შორეულ რაიონებში დიდი დაგვიანებით იღებდნენ სახელმძღვანელოებს და სხვა სასწავლო ნივთებს. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო სუსტ კონტროლს უწევდა სკოლების მზადებას.

ჩვენ განგებ ვამახვილებთ ყურადღებას ამ ფაქტებზე იმ მიზნით, რომ წელს არ იქნას დაშვებული მსგავსი მოვლენები.

გასული სასწავლო წლისათვის მზადების დროს დაშვებული სერიოზული შეცდომები რომ არ გამეორდეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დროზე მიიღეს დადგენილება ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ. ეს დადგენილება, რომელიც სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად სათანადო პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს უშუალოდ აკისრებს პასუხისმგებლობას ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ღონისძიებათა სრულყოფილად გატარებისათვის, ერთხელ კიდევ მოწმობს იმ დიდ ზრუნვასა და ყურადღებას, რასაც სახალხო განათლების საქმისადმი იჩენენ ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა მთავრობა, ხალხთა გენიალური ბელადი მშობლიური სტალინი.

წელს უნდა შეკეთდეს 4.258 სკოლის, 25 სბავშვო სახლისა და 109 სბავშვო ბაღის შენობები. აქედან კაპიტალური რემონტი უნდა გაუკეთდეს 554 სასკოლო შენობას; გარდა ამისა, სკოლებისათვის შეძენილი იქნება 2.166 ათასი მანეთის სამეურნეო მოწყობილობა და ინვენტარი. ეს დიდი და სერიოზული სამუშაოა. საქართველოს მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მიუთითებს საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს ცალცალკე განიხილონ და დაამტკიცონ ყველა სკოლის, სბავშვო ბაღისა და სბავშვო სახლის შენობის კაპიტალური და მიმდინარე რემონტის გეგმა, მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი საშენი მასალები, 20 აგვისტომდე უზრუნველყონ რემონტის მაღალხარისხოვნად შესრულება. საჭიროა პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მტკიცე კონტროლი დააწესონ ამ ღონისძიების შესრულებაზე.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. სახალხო განათლების ორგანოების, სკოლების მთავარ ამოცანად კვლავ რჩება საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის ზუსტად განხორციელება. ყველგან უნდა მოეწყოს სასკოლო ასაკის ბავშვთა ზუსტი აღრიცხვა და უზრუნველყოფილ იქნას მათი ჩაბმა სწავლებაში.

სკოლებში სასწავლო-სააღზრდელო მუშაობის ცენტრალური ფიგურა მასწავლებელია. იმაზე, თუ როგორ გონივრულად გაანაწილებს პედაგოგთა კადრებს განათლების სამინისტრო, დამოკიდებულია სწავლა-აღზრდის საქმის შემდგომი წარმატება. განათლების სამინისტრომ 1 აგვისტომდე უნდა გადასინჯოს მასწავლებელთა შემადგენლობა, დაამთავროს პედაგოგთა კადრების დანიშვნა, ახალგაზრდა -სპეციალისტთა განაწილება. ამავე დროისათვის უნდა უზრუნველყოთ სკოლები სასწავლო პროგრამებით ყველა საგანში, საკლასო ჟურნალებითა და სხვა სასკოლო დოკუმენტებით. მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს სკოლებისათვის სახელმძღვანელოების, მხატვრული ლიტერატურისა და სასწავლო ნივთების მიწოდების, აგრეთვე ნახმარი სახელმძღვანელოების შესყიდვის მიმდინარეობაზე.

განათლების სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა, სკოლებმა ახლავე უნდა მიიღონ ზომები ამ სერიოზულ სამუშაოთა დროულად განხორციელებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებას, მას იღეურ-პოლიტიკურ გამოწრთობას და პედაგოგიურ-მეთოდიურ დახელოვნებას. ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნას მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებელი კურსები, სხვადასხვა გამოფენები, ლექცია-მოხსენებები. პედაგოგიური მუშაობის გამოცდილებასთან ერთად მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებზე უნდა გამოვლინდეს აგრეთვე სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. საჭიროა ეს თათბირები ჩავატაროთ საქმიანი ნიშნით და სასტიკად დავგმოთ გასული წლების მავნე პრაქტიკა, როცა მასწავლებელთა თათბირებზე გამეფებული იყო პარადული ხმაური და უპატივცემულოდ ეკიდებოდნენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში გულდამშვიდების განწყობილებებს, არ დაეუშვათ ძველებური სიმანკიერე, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ პარტიის ზოგიერთი რაიონული კომიტეტი და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი, განათლების ბევრი ორგანო სკოლებისადმი პრაქტიკულ დახმარებას პარადული ხმაურით და გაზვიადებულ ვალდებულებათა აღებით ცვლიდნენ. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა ზუგდიდის რაიონის ყოფილ ხელმძღვანელთა თვალთმაქცობა. ისინი წლების მანძილზე ზეციზეად გამოდიოდნენ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების „ინიციატორებად“, კისრულობდნენ გადიდებულ ვალდებულებებს... სინამდვილეში კი სკოლები, მასწავლებლები და მოსწავლეები მათ მხრივ მოკლებული იყვნენ ელემენტარულ დახმარებასაც კი. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროც მოხსენებითი ბარათებით კმაყოფილდებოდა, მჯიდრო, არსებითი კავშირი არ ჰქონდა სკოლებთან, საჭირო კონტროლს არ უწევდა სკოლების კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი თანხების დანიშნულებისამებრ გამოყენებას. ამის შედეგად სკოლებში და განათლების განყოფილებებში დაინერგა უდარდელობის, სახელმწიფო ქონების განიავების, სხვის მოიმედედ ყოფნის მავნე პრაქტიკა.

გასულ წლებში ცუდად მუშაობდნენ წიგნის სავაჭრო ორგანიზაციები. სკოლები, მოსწავლეები თავის დროზე ვერ იღებდნენ სახელმძღვანელოებსა და სხვა სასწავლო ნივთებს. წელს ეს არ უნდა გამეორდეს. პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობისა და წიგნით ვაჭრობის სამმართველომ დროზე უნდა უზრუნველყოს სახელმძღვანელოების გამოცემა და წიგნის სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მათი გადაცემა.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გადამწყვეტი თვეები დადგა. პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა ორგანოების, განათლების დარგის მუშაკთა ამოცანაა ორგანიზებულად გაჩაღონ მზადება, მთელი შესაძლებლობა, ცოდნა და გამოცდილება გამოიყენონ იმისათვის, რომ კიდევ უფრო მკვიდრი საფუძველი შექმნან ახალი წარმატებების მოსაპოვებლად სტალინური ეპოქის ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში.

საბჭოთა კავშირში

★

დღეს ციმლიანსკის ჰიდროელექტროსადგურში

მუშათა დაბა ციმლიანსკი, 13 ივნისი. (საკდესი). ზუსტად და შეუფერხებლად მუშაობს ციმლიანსკის ჰიდროელექტროსადგურის პირველი ჰიდროგენერატორი. ათასობით კილოვატი ელექტროენერგია უკვე მიიღეს დონის სამრეწველო საწარმოებმა, ქალაქებმა და სტანიცებმა. უბნის კოლექტივმა, რომელმაც მანქანა მოამზადა, იგი 100 საათის მუშაობის შემდეგ საექსპლოატაციო დარგის მუშაკებს გადასცა. ახლა მოქმედ აგრეგატთან ვახტს ეწევიან სადგურის პატრონები —ჰიდროტურბინის მორიგე ინჟინრები, ტექნიკოსები, მემანქანეები, მართვის ფარის მორიგეები. მომონტაჟეები გადავიდნენ ჰიდროელექტროსადგურის შემდეგ აგრეგატებზე სამუშაოდ. ადგილზე დადგმულია № 3 ტურბინის მუშა ბორბალი. ახლა ამონტაჟებენ უკანასკნელ დეტალებს. უახლოეს დღეებში დამთავრდება მეორე აგრეგატის მონტაჟი. წარმატებით მიმდინარეობს კვანძების აწყობა და მესამე აგრეგატზე მათი დადგმა.

უმაღლეს სასწავლებელთა ახალი განყოფილებანი

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრომ გამოსცა ბრძანება იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყნის 36 უმაღლეს სასწავლებელში შეიქმნას განყოფილებანი ენერგეტიკის, სამშენებლო, სილიკატის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალისტთა მოსამზადებლად. ამ განყოფილებებზე მიიღებიან ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს ტექნიკუმები სათანადო სპეციალობის მიხედვით და აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, აგრეთვე ის პირები, რომლებსაც დაუმთავრებელი უმაღლესი ტექნიკური განათლება აქვთ.

ახალი განყოფილებები გაიხსნება მოსკოვში, ლენინგრადში, გორკში, კიევში, ხარკოვში, დნეპროპეტროვსკში, ოდესაში, ლვოვსა და სხვა ქალაქებში. ისინი ჩარიცხავენ 3.300 სტუდენტს.

მეცადინეობა დაიწყება მომავალ სასწავლო წელს. სწავლის ვადაა ორი წელიწადი და 4 თვე. (საკდესი).

მოსკოვში საბინაო მშენებლობის გეგმა ითვალისწინებს 1952 წელს 750 ათასი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემას.

დიდი მშენებლობა გაჩაღდა დედაქალაქის ლენინგრადის რაიონში. **სურათზე:** ერთ-ერთი სკვერი ახალ საცხოვრებელ სახლებთან.

ფოტო ე. ევზერიხინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

მძლავრი ავტომობილსაბმელები

მინსკი, 9 ივნისი. (საკდესი). გუშინ მინსკის საავტომობილო ქარხანაში დამთავრდა დიდი ტვირთამწეობის ახალი ავტომობილსაბმელის აწყობა. ამჟამად ქარხნის კონსტრუქტორები ამთავრებენ მუშაობას თვითდასაცლელი ავტომობილსაბმელის პროექტზე.

მძლავრი ავტომობილსაბმელები განკუთვნილია კომუნიზმის დიად მშენებლობებზე მუშაობისათვის. აქ ისინი პირველ გამოცდას გაივლიან.

მინსკის საავტომობილო ქარხანა ბელორუსიაში ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა, რომელიც პროდუქციას აწვდის სტალინურ მშენებლობებს. ამ მშენებლობებზე უკვე მუშაობს ქარხნის მიერ გამოშვებული ნიმუშის რამდენიმე ავტომობილი, მათ შორის 25-ტონიანი თვითდასაცლელი მანქანები.

★

რუსეთის ფრამვაის 60 წელი შეუსრულდა

კიევი, 13 ივნისი. (საკდესი). ხვალ 60 წელი სრულდება იმ დღიდან, რაც ჩვენს ქვეყანაში ამუშავდა პირველი ტრამვაი.

საქალაქო ტრანსპორტში ელექტროენერგიის გამოყენების წინადადება გასული საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიოში პირველად წამოაყენა ცნობილმა რუსმა გამომგონებელმა ფ. ა. პიროცკიმ. ფ. ა. პიროცკის გაბედული იდეის წინააღმდეგ მაშინ გაილაშქრეს ქალაქის ცხენის რკინიგზების მფლობელებმა, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ამ სახის ტრანსპორტის შენარჩუნებით.

მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ კიევში, სადაც მთაგორიანი პირობები აძნელებდა ცხენის რკინიგზის გამოყენებას, გაყვანილ იქნა 1,5 კილომეტრი სიგრძის პირველი ტრამვაის ხაზი. ამ საქმეში უცხოელ სპეციალისტებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. 1892 წლის 14 ივნისს კოლომნის ქარხნის მიერ დამზადებული მოტორიანი ვაგონები მგზავრებით გაემართნენ ალექსანდრეს დაღმართით (ამჟამად კიროვის ქუჩა). ეს იყო ჩვენს ქვეყანაში პირველი ელექტროტრამვაის პირველი რეისი.

საქალაქო ელექტროტრანსპორტი ფართოდ განვითარდა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. სტალინური ხუთწლედების განმავლობაში კიევში აგებულ იქნა ტრამვაის ბეჭრი ხაზი, განუხრელად იზრდებოდა ტრამვაის პარკი. ასობით კომფორტაბელურ ვაგონს ახლა ყოველწლიურად გადაჰყავს 200 მილიონამდე მგზავრი.

აჩხიდან დონში გასასვლელზე შუქურები აინთო

დონის ქალაჩი (სტალინგრადის ოლქი), 12 ივნისი. (საკდესი). დღეს ღამით ვოლგა-დონის არხიდან დონში გასასვლელზე აინთო შუქურები. მათი შუქი ციმლიანსკის ზღვიდან 20-25 კილომეტრზე მოჩანს.

ორივე შუქურა დგას იმ ჯებირების ბოლოებზე, რომლებიც მე-13 რაბიდან 5 კილომეტრზე იჭრებიან ციმლიანსკის წყალსაცავში.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ჩინელი ხალხი პატივს სცემს მაქსიმ გორკის ხსოვნას

პეკინი, 13 ივნისი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ 18 ივნისს სრულდება დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის გარდაცვალების 16 წლისთავი, ცენტრალურ-სამხრეთ ჩინეთში უხანის ყველა კინო-თეატრში ნაჩვენები იქნება ა. მ. გორკის ცხოვრების ამსახველი კინოტრილოგია — „ბავშვობა“, „ხალხში“ და „ჩემი უნივერსიტეტები“.

ცენტრალურ-სამხრეთ ჩინეთის და ქალაქ უხანის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა ასოციაცია მოსახლეობისათვის აწყობს მოხსენებებსა და საუბრებს გორკის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

შრომის საბჭოთა მეთოდების გამოყენება უნგრეთში

ბუდაპეშტი, 12 ივნისი. (საკდესი). უნგრეთის საწარმოებში ფართოვდება შეჯიბრება ხუთწლედის მესამე წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. უნგრელ მშრომელებს ამ საქმეში დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა სტახანოველების შრომის მეთოდების დანერგვა. საბჭოთა მეშახტემ სოციალისტური შრომის გმირმა ი. ტ. ვალეგურამ, რომელმაც ამას წინათ ამოგზაურა უნგრეთში, თავისი გამოცდილება გაუზიარა პეტეფის სახელობის შახტის მუშებს. ამის შემდეგ მეშახტეებმა გამოიყენეს ვალეგურას მეთოდი და გაადიდეს შრომის ნაყოფიერება. მნგრეველი იანოშ ურანკა ამჟამად ნორმებს 130 პროცენტით ასრულებს.

საბჭოთა მეთოდებს წარმატებით იყენებს უნგრეთის მრავალი ათასი სტახანოველი.

წარმოების რაციონალიზატორთა მოძრაობა პოლონეთში

ვარშავა, 14 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა გამოცდილების საფუძველზე სანალბო პოლონეთში იქმნება წარმოების რაციონალიზატორთა ბრიგადები, რომლებშიც შედიან მუშები და ინჟინრები. წელს ასეთი ბრიგადების რიცხვი 250-დან 1.500-მდე გადიდდა. ვარშავის პარიზის კომუნის სახელობის სატელეფონო მოწყობილობის ქარხანაში ინჟინრებთან და ტექნიკოსებთან რაციონალიზატორ მუშათა ერთობლივმა მუშაობამ შესაძლებელი გახადა ძირეულად შეეცვალათ წარმოების ტექნოლოგია, რის მეოხებით ქარხანამ უკვე მაისში შეასრულა წლიური გეგმა.

რაციონალიზატორთა ბრიგადებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ბევრ სხვა საწარმოშიც.

კრიტიკისადმი ფორმალური დამოკიდებულების წინააღმდეგ

„პრავდის“ 14/VI მოწინავე

გასული წლის დამლევს „პრავდაში“ გამოქვეყნებული იყო კორესპონდენცია საკავშირო კ. პ. (ბ) ტამბოვის საოლქო კომიტეტის აპარატში კომუნისტების წერილებისადმი ფორმალური დამოკიდებულების შესახებ. კორესპონდენციაში, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ საოლქო კომიტეტში დიდხანს უმოძრაოდ ეწყო, ხოლო შემდეგ არქივს გადასცეს წერილები ბონდარის რაიონში პარტიული მუშაობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ.

„რამდენიმე ხნის შემდეგ ტამბოვის საოლქო კომიტეტმა რედაქციას აცნობა, რომ მან მიიღო საჭირო ღონისძიებანი როგორც საოლქო კომიტეტში, ისე პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში მიღებული წერილებისა და საჩივრების განხილვისას არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კრიტიკამ თითქოს გავლენა მოახდინა და მდგომარეობა ძირეულად შეიცვლებოდა. მაგრამ ამას წინათ რედაქციამ მიიღო წერილი. მისი ავტორი — პარტიის წევრი, ტამბოვის ოლქის ბონდარის რაიონის სოფელ კერშის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელი ამბ. ტიპიკინი წერს:

„თავის დროზე „პრავდაში“ წავიკითხე კორესპონდენცია პარტიის ჩვენი საოლქო კომიტეტის მხრივ კომუნისტების წერილებისადმი ფორმალური დამოკიდებულების შესახებ, აგრეთვე ცნობა ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად მიღებულ ღონისძიებათა შესახებ. უნდა განვაცხადო, რომ საოლქო კომიტეტმა გადაწყვეტილება მხოლოდ ფორმალურად მიიღო. საოლქო კომიტეტის მუშაკებს ბევრი არაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ ჩვენს რაიკომს გაეუმჯობესებინა ხელმძღვანელობა პირველადი პარტორგანიზაციებისადმი. ჩვენთან საკმაოდ ბევრი კომუნისტია, მაგრამ იშვიათად ვიკრიბებით, პარტიულ კრებებს იწვევენ შემთხვევით, ამასთან ამ კრებების განსახილველად გამოაქვთ მხოლოდ სამეურნეო საკითხები. საგიტაციო მუშაობა და პარტიული განათლება უყურადღებოდ არის მიტოვებული. ყოველივე ეს იცის პარტიის რაიკომმა. ჩვენს სოფელში არაერთხელ ყოფილან რაიკომის მდივნები, იყო პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგეც. მაგრამ არც ერთ მათგანს არაფერი არ გაუკეთებია პარტიული მუშაობის გასაუმჯობესებლად, არც ერთ მათგანს ერთხელაც არ წაუკითხავს კოლმეურნეებისათვის პოლიტიკური მოხსენება. ჩვენთან პარტიულ მუშაობაში რომ სერიოზული ნაკლოვანებებია, ეს პარტიის საოლქო კომიტეტშიც იციან. სიგნალები ამის შესახებ ახლაც მისდის საოლქო კომიტეტს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი არ კეთდება იმისათვის, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს. და ამას ეწოდება — საოლქო კომიტეტმა „მიიღო საჭირო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად...“!

„პრავდის“ კორესპონდენტმა ადგილობრივ შეამოწმა ბონდარის რაიონში საქმის მდგომარეობა და დაადასტურა წერილის ავტორის კრიტიკული შენიშვნების სისწორე.

რას მოწმობს ეს ფაქტი?

უწინარეს ყოვლისა იმას, რომ პარტიის ტამბოვის საოლქო კომიტეტი ფორმალურად მოეპყრო კრიტიკას და ამ კრიტიკის სამართლიანობის აღიარებას არ მოჰყოლია კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. სხვანაირად არაფრით არ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ პარტიული მუშაობა ბონდარის რაიონში კვლავ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ხოლო სიგნალები ამის შესახებ, რომლებიც კვლავ მისდის საოლქო კომიტეტს, უპასუხოდ რჩება და მიზანს ვერ აღწევს.

კომუნისტური პარტია კადრებს, ყველა საბჭოთა ადამიანს ზრდის ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთებით. კრიტიკა და თვითკრიტიკა, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, წარმოადგენს ჩვენი განვითარების კანონს, ყოველგვარი რუტინისა და დახავსებულობის, ყოველივე იმ ძველისა და მომაკვდავის, რაც ხელს უშლის ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას, დაძლევის გადამწყვეტ საშუალებას. კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაჩაღებით მკაფიოდ გამოხატულია საბჭოთა წყობილების დემოკრატიზმი, საბჭოთა ადამიანების — თავიანთი ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონების, ახალი ცხოვრების შემოქმედთა დიდი პოლიტიკური შეგნება.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულება განუყრელად დაკავშირებულია ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლასთან, რაც ხელს უწყობს ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებას. ჩვენი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ყოველი ღონისძიებით ამაღლებენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის დონეს, თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში ფართოდ იყენებენ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაცად იარაღს, გულდასმით უგდებენ ყურს მასების ხმას, მათს სამართლიან კრიტიკულ შენიშვნებსა და ძვირფას წინადადებებს, ახორციელებენ ამ წინადადებებს.

მაგრამ ჯერ კიდევ ვხედავთ კრიტიკისადმი ფორმალური დამოკიდებულების ფაქტებს.

ბოლშევიკური კრიტიკა პრინციპული და ქმედითი კრიტიკაა, იგი მოითხოვს ნაკლოვანებათა არა უბრალო აღნიშვნასა და აღიარებას, არამედ იმ მიზეზების გამორკვევას, რომლებმაც ეს ნაკლოვანებანი წარმოშვეს, და მათი აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებათა მიღებას. მუშაკები, რომლებიც სიტყვით აღიარებენ კრიტიკის სამართლიანობას, მაგრამ საქმით არ ახორციელებენ ღონისძიებებს ამა თუ იმ უარყოფითი მოვლენის აღმოსაფხვრელად, ადგებიან მცდარ, მანკიერ გზას. მათ ამით შეცდომაში შეიყვანთ საზოგადოებრივი აზრი, შესაძლებლობას ქმნიან, რომ გაკრიტიკებული ნაკლოვანებანი გადიდდეს. კრიტიკის სისწორის მარტოოდენ სიტყვიერი აღიარება, რომელიც განმტკიცებული არ არის ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ბრძოლით, სინამდვილეში კრიტიკის თავისებური ჩახშობაა. სწორად, ბოლშევიკურად და არა ფორმალურად და ბიუროკრატიულად მოვეკიდოთ კრიტიკას — იმას ნიშნავს, რომ არა მარტო ვაღიაროთ ნაკლოვანებანი, არამედ — და ეს მთავარია — ამასთანავე პრაქტიკულად აღმოვფხვრათ და აღარ გავიმეოროთ ისინი. სიტყვისა და საქმის, გადაწყვეტილებისა და შესრულების ერთიანობა ხელმძღვანელობის ბოლშევიკური სტილის დამახასიათებელი თავისებურებაა.

თვითეული სამართლიანი კრიტიკული შენიშვნა, კრებაზე გამოსვლა იქნება იგი თუ პრესაში, მოითხოვს, რომ ის ორგანიზაცია, ის ხელმძღვანელები, რომლებსაც ეს კრიტიკული შენიშვნა ეხება, უდიდესი ყურადღებით მოეკიდონ მას და მიიღონ კონკრეტული ღონისძიებანი. პარტია გვასწავლის შეურიგებელი ვიყოთ ნაკლოვანებებისადმი, რაც შეიძლება მალე გამოვასწოროთ და აღარ გავიმეოროთ ისინი.

ამხანაგი სტალინი მიგვითითებს, რომ „ბოლშევიკების მოვალეობას წარმოადგენს არა თავიანი შეცდომების მიჩქმალვა, არა მათი შეცდომების საკითხისათვის გვერდის ავლა, როგორც ეს ხშირად ხდება ჩვენში, არამედ თავისი შეცდომების პატიოსნად და აშკარად აღიარება, პატიოსნად და აშკარად დასახვა გზებისა ამ შეცდომების გამოსასწორებლად, თავისი შეცდომების პატიოსნად და აშკარად გამოსწორება“.

ესა თუ ის კრიტიკული გამოსვლა მიზანს მიაღწევს და მეტ შედეგს მოიტანს, თუ მასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, ისევე როგორც ყოველი სხვა გადაწყვეტილება, განმტკიცებულ იქნება კონკრეტული საქმეებით, შესრულების სწორად ორგანიზებული შემოწმებით. თუ რა შედეგი მოსდევს ამ პრინციპიდან გადახვევას, ამას შემდეგი ფაქტი გვიჩვენებს.

კარელია-ფინეთის სსრ კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაკთა თათბირზე სერიოზულად გააკრიტიკეს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების მუშაობის ნაკლოვანებანი, მაგრამ კრიტიკას ჯეროვნად არ გაუწიეს ანგარიში და მდგომარეობა თათბირის შემდეგ არ შეცვლილა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც პრესაში გამოქვეყნდა კორესპონდენციები აღნიშნულ და სხვა ნაკლოვანებათა შესახებ, კარელია-ფინეთის სსრ კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც დასახული იყო აპარატის მუშაობის გაუმჯობესების მთელი რიგი ღონისძიებანი. მაგრამ გადაწყვეტილება ორგანიზატორული მუშაობით როდი განამტკიცეს. როგორც მოწმობს პარტიის პეტროზავოდსკის საქალაქო კომიტეტის მდივნის წერილი, რომელიც ამ დღეებში მიიღო „პრავდამ“, ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა მუშაობის მეთოდებში შესამჩნევი გაუმჯობესება არ მომხდარა. ეს განყოფილებანი კვლავ ნაკლებ ინტერესს იჩენენ პარტიის საქალაქო კომიტეტისა და რაიკომების მუშაობის შინაარსისადმი, არ უწევენ მათ საჭირო დახმარებას, სჯერდებიან სხვადასხვანაირი ცნობების შეგროვებას.

ბოლშევიკური საქმიანობა, კრიტიკისადმი სწორი დამოკიდებულება იმას ნიშნავს, რომ ბოლომდე მიგვყავდეს დაწყებული საქმე, მიღებულ გადაწყვეტილებას განვამტკიცებდეთ ორგანიზაციულად, პრაქტიკულად. კარგი რეზოლუცია საქმის მხოლოდ დასაწყისია. რეზოლუციამ რომ სასურველი შედეგი მოიტანოს, საჭიროა მოეწყოს მისი შესრულება.

წარმოუდგენელია ნამდვილად გვაინტერესებდეს მუშაობის წარმატება, თუ არ გვაინტერესებს კრიტიკა და თვითკრიტიკა. კრიტიკა გვეხმარება არა მარტო იმაში, რომ რაც შეიძლება მალე აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი და შეცდომები, არამედ იმაშიც, რომ თავიდან ავიცილოთ მუშაკებს თვითდამშვიდებისა და ყოყოჩობის საფრთხე. ამხანაგი სტალინი მუდამ გვაფრთხილებს, რომ ბოლშევიკს ამშვენებს არა ყოყოჩობა, არამედ თავმდაბლობა, რომ ყოველი ხელმძღვანელი, რა პოსტზეც უნდა მუშაობდეს იგი, ხალხს მსახურია. ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ტრადიცია ის არის, რომ ხელმძღვანელებს მუდმივი კავშირი ჰქონდეთ მასებთან, მზად იყვნენ იმისათვის, რომ ისწავლონ მასებისაგან, გამოასწორონ ის ნაკლოვანებანი, რომლებზეც მიუთითებენ მშრომელები.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ლენინურ-სტალინური განხორციელებისათვის საჭიროა აღმოვფხვრათ ფორმალური დამოკიდებულება მათდამი, აგრეთვე მტკიცედ ვიბრძოლოთ ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის მათს გაჩაღებას. დევნისაგან დავიცავთ ყველა, ვინც აქტიურად გამოდის საღი კრიტიკით და ამით უზრუნველვყოთ, რომ ის, ვინც სამართლიან კრიტიკას ეწევა, გრძნობდეს კოლექტივის ორგანიზებულ მხარდაჭერას. პარტია გვასწავლის, რომ თუ ბოლშევიკი მართალია, თუ მისი მოსაზრებანი და მოქმედება შეესაბამება პარტიის იდეებს, მოწოდებებს, გადაწყვეტილებებს, მითითებებს, მას ვერავინ და ვერაფერი ვერ აიცდენს სწორ გზას.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა ყოველი ღონისძიებით განავითაროს კრიტიკა და თვითკრიტიკა, აღზარდონ ჩვენი კადრები, ყველა საბჭოთა ადამიანი სახელმწიფოს ინტერესების უაღრესად მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის, წინსვლის შემაფერხებელი ყოველივე ძველისა და ჩამორჩენილისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი

შედგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები.

პლენუმზე გამოვიდნენ ამხ. დ. ბენაშვილი, შ. დადიანი, ს. ეული, ა. აბაშელი, ს. წვერავა, დ. შენგელაია.

პრეზიდიუმის ახალ შემადგენლობაში არჩეული არიან ამხ. გ. ლეონიძე (თავმჯდომარე), ს. ჭილაია (პასუხისმგებელი მდივანი), გრ. აბაშიძე, ირ. აბაშიძე, ლ. ქიაჩელი, კ. ლორთქიფანიძე, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ი. ნონეშვილი, ი. ურჯუმელაშვილი, ა. ჭეიშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღ

პარტიული ცხოვრება

ქარხნის პარტორგანიზაცია და კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთები

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ქარხნის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მუშები ხშირად იკრიბებიან კომუნიზმის დიად მშენებლობათა რუკასთან. ლამაზ ჩარჩოიან რუკაზე სწორი ხაზებით აღნიშნულია ის ადგილები, სადაც იგზავნება ჟუთაისელი მანქანათმშენებლების მიერ დამზადებული პროდუქცია — არტეზიული წყალსატუმბები.

პარტიული ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი მორიგე კონსულტანტები ბიბლიოთეკაში სისტემატურად აწყობენ საუბრებს მანქანათმშენებელთა ამოცანებზე წყალსატუმბების დამზადების დარგში. მსმენელებს მოუთხრობენ კომუნიზმის დიად მშენებლობათა მიმდინარეობაზე.

ბიბლიოთეკაში, ქარხნის საამქროებში, ყველა უბანსა თუ ბრიგადაში კომუნისტი და უპარტიო აგიტატორები მოუწოდებენ მანქანათმშენებლებს მაღალნაყოფიერად იმუშაონ მეტი და საუკეთესო პროდუქციის, მძლავრი წყალსატუმბების გამოსაშვებად.

ვოლგა-დონმშენის დაკვეთების მიღებისთანავე პარტიულმა ორგანიზაციამ კონკრეტული ღონისძიებები შეიმუშავა მასობრივ-საagიტაციო მუშაობის გასაჩაღებლად. გადასინჯა აგიტატორთა შემადგენლობა, ეს საპატიო მოვალეობა ნიანდო უფრო მცოდნე და მომზადებულ ადამიანებს, რომლებიც მაღალი ავტორიტეტით სარგებლობენ მთელ კოლექტივში.

პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობითა და დახმარებით საამქროებში 71 აგიტატორიდან დიდი უმრავლესობა წარმატებით მუშაობს. სხვა თემებთან ერთად ისინი ესაუბრებიან მშრომელებს წყალსატუმბების გამოშვების საკითხებზე, არა მარტო განმარტავენ დაკვეთების შესრულების დიდ მნიშვნელობას, არამედ მუშათა ყურადღებას ამახვილებენ წყალსატუმბების დასამზადებლად საჭირო პრაქტიკულ ამოცანებზეც. ინჟინერ-ტექნიკოსები შ. ჭელიძე, შ. ხონელიძე, გ. წულაძე და სხვები გარდა სააგიტაციო საუბრებისა, გარკვეულ ორგანიზატორულ მუშაობასაც ეწევიან. მაგალითად, მექანიკურ-ამწყობი საამქროს აგიტატორმა, ოსტატმა გ. წულაძემ პირადი მაგალითით დარაზმა გორგოლაჩების უბნის კოლექტივი და ერთ დეკადაში გამოასწორა ჩამორჩენა.

სამეედლო-თერმულ საამქროში, სადაც წარმოებს წყალსატუმბების გადაცემი ლილვის, მუშა ბორბლისა და მთელი რიგი სხვა დეტალების თერმული დამუშავება, ტექნიკური პროცესის დაუცველობის გამო მთლიანად გაფუჭდა აღნიშნული მექანიზმის 34 ნაწილი. პარტორგანიზაციამ კარგად შეისწავლა საკითხი და აგიტატორების საშუალებით მკაცრად გააკრიტიკა საამქროს ხელმძღვანელები კ. დარსაძე, ვ. ჭელიძე და სხვები, რომელთა დაუდევრობით შეფერხდა მუშაობა. ამ საკითხს გამოეხმაურა საამქროს კედლის გაზეთიც. ამასთან კომუნისტებს მითითება მიეცათ გააძლიერონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მასებში, რათა საწარმოს თვითეული მუშისათვის ნათელი გახდეს, რა ჩრდილს აყენებს საერთო საქმეს უყურადღებობის თუნდაც თითო-ოროლა შემთხვევა. საამქროს კომუნისტებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ სხვებისათვის მითითების მიცემა შეუძლიათ მხოლოდ მაშინ, თუ მაღალი იქნება მათი ავანგარდული როლი. ახალგაზრდა სტახანოველების დ. ანასაშვილის და ს. გელენიძის პარტიაში მიღება დაემთხვა იმ პერიოდს, როცა ქარხანაში დაიწყო დიდ მშენებლობათა დაკვეთების შესრულება. ორიკე მათგანმა გაორკეცებული ენერგიით მოჰკიდა ხელი საქმეს და ახლა 250-300 პროცენტით ასრულებენ გეგმებს. მათი მაღალნაყოფიერი შრომა ყველასათვის სამაგალითოა.

წყალსატუმბი დასრულებულ სახეს იღებს მექანიკურ-ამწყობ საამქროში, სადაც ორასზე მეტი კაცი მუშაობს. პარტორგანიზაცია უნარიანად უძღვება მასების შემოქმედებითს ინიციატივას და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებით უზრუნველყოფს მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიპოვებას. 26 აპრილს პარტორგანიზაციამ განიხილა საამქროში რიტმულობის დანერგვის საკითხი, აღინიშნა, რომ მექანიკური უბანი, რომელიც ცალკეული დეტალების დამზადებას ამთავრებს თვის მეორე ნახევარში, საამქროს მუშაობას ძლიერ აფერხებს. დანარჩენი უბნები იძულებული არიან ერიშით იმუშაონ, რაც დიდად აუარესებს პროდუქციის ხარისხს. პარტიულმა ორგანიზაციამ ღრმად შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები და დასახა სწორი, საქმიანი ღონისძიებანი. აგიტატორებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს პარტიული ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელებაში. ზეინკალმა ბ. ყუფარაძემ და ხარატმა ა. სოლოდოლოვმა, რომლებიც სამაგალითოდ ასრულებენ გეგმებს, საფუძველი ჩაუყარეს ნახევარფაბრიკატის დროულად დამზადებას, რითაც აღმოიფხვრა ერიშობანა. საამქროში მუშაობის გარდატეხის პერიოდში თითქმის ყოველდღე გამოდიოდა ელვა-ფურცლები, სადაც ოპერატიულად შუქდებოდა ჩამორჩენის გამოსასწორებლად გაჩაღებული ბრძოლის მსვლელობა.

ქარხნის პარტბიუროს სწორი ორიენტირების შედეგია, რომ საამქროთა პარტორგანიზაციები უნარიანად ახამებენ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას სამეურნეო საქმიანობასთან. პარტიული ბიუროს უნარიანი მუშაობით აიხსნება ისიც, რომ ყველა საკითხის განხილვისას იგი კარგად ითვალისწინებს პოლიტიკური ხელმძღვანელობის როლს. 3 ივნისს განხილულ იქნა წყალსატუმბის დამამზადებელი საამქროებისადმი ცალკეული განყოფილებების დახმარების საკითხი. როგორც გამოირკვა, საგეგმო, ტექნიკური კონტროლის, საკონსტრუქტორო, შრომისა და ხელფასის განყოფილებები უყურადღებობას იჩენენ საამქროებისადმი, არ ითვალისწინებენ მათ საჭიროებებს და დახმარების ნაცვლად ხშირად კიდევაც უშლიან ხელს. წესისამებრ, ტექნიკური კონტროლის განყოფილებამ წუნას თავიდან აცილების მიზნით სისტემატურად უნდა შეამოწმოს მუშის მიერ დამზადებული დეტალები, მაგრამ აღნიშნული განყოფილების (გამგე შ. ციციაშვილი) მუშაკები დ. ხაზარაძე და ბ. კაკიტელაშვილი ამას სასხვათაშორისო საქმედ თვლიან. ესეც იწვევდა ქარხანაში წუნს. ცალკეული განყოფილებების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო საამქროები დროულად ვერ იღებენ სამუშაო ნახაზებს, მოუწეხრიგებელია აღრიცხვა, არის მუშების მოცდენის შემთხვევები.

პარტიულ კრებაზე დადგენილების მიღებისას ძირითადი ყურადღება მიექცა პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებს. საამქროებისა და განყოფილებების პარტორგანიზაციებს დაევალათ გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, დაამყარონ მტკიცე დისციპლინა და ორგანიზებულობა საქმეში, ულმობლად ამხილონ ის ადამიანები, რომლებიც იჩენენ ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას საქმისადმი, უზრუნველყონ კედლის გაზეთების ორგანიზატორული როლის ამაღლება, ყურადღებით მოეკიდონ მათ ყოველ შენიშვნას, გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება აგიტატორებისადმი.

პარტბიუროს პირველხარისხოვან საქმედ მიაჩნია დიად მშენებლობათა დაკვეთების შესრულება. გარდა საკითხების განხილვისა, იგი სწრაფად წყვეტს ყველა იმ ღონისძიებას, რაც დაკავშირებულია დაკვეთების შესრულებასთან. წყალსატუმბების გამოშვების დასაჩქარებლად საჭირო იყო ახალი კვალიფიციური კადრები. ამის შესახებ პარტბიუროს მიიღო სიგნალი. მან დაავალა ქარხნის სასწავლო-საწარმოო კომბინატის უფროსს კომუნისტ ო. ჩხეიძეს მოეგვარებინა ეს საქმე და უმოკლეს ხანში საამქროები დაეკომპლექტებინა მომზადებული მუშახელით. ეს იყო 18 მარტს. პარტბიუროთვალყურს ადევნებდა ამ დავალების შესრულებას. 10 აპრილს სათანადო ცოდნით აღჭურვილი 21 კაცი შეემატა საამქროებს.

ქარხანაში ყურადღება ექცევა ლექციურ პროპაგანდას. ლექციების თემატიკაში თვალსაჩინო ადგილი ეთმობა კომუნიზმის დიად მშენებლობათა თემას. ამ დღეებში მოეწყო ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ბენიძის ლექცია „კომუნიზმის დიადი მშენებლობანი და მათი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში“, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ თემაზე სისტემატურად იმართება აკრეთვე საუბრები.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის კარგად მოწყობამ თვალსაჩინო როლი შეასრულა იმ წარმატებებში, რასაც ქარხნის კოლექტივი აღწევს დიად მშენებლობათა დაკვეთების შესრულებაში. საწარმომ სტალინგრადის ჰიდრომშენს გაუგზავნა 4 წყალსატუმბი, ვოლგა-დონმშენს — 75, კუიბიშევჰესს — 15, კახოვკის ჰესს — 2.

წელს სულ კუიბიშევჰესის მშენებლებს უნდა გაეგზავნოს 150 ცალი წყალსატუმბი. ქარხნის კომკავშირულმა ორგანიზაციამ კარგი ინიციატივა გამოიჩინა — გადაწყვიტა მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს კუიბიშევჰესის ახალგაზრდა მშენებლებთან; ამ თაოსნობას მტკიცედ დაუჭირა მხარი პარტბიუროს. კუიბიშევჰესის მშენებლობაზე გიგზავნა ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ლ. კოღუაშვილი, რომელმაც ახალგაზრდა მანქანათმშენებელთა სახელით მშენებლებს სიტყვა მისცა წარმატებით შეასრულონ საპატიო დაკვეთა.

ქარხნის კოლექტივი იბრძვის თავისი პირობის პირნათლად შესრულებისათვის და, უეჭველია, კიდევაც შეასრულებს მას. ამის საწინდარია ქარხნის საამქროებში ფართოდ გაჩაღებული მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა. ქარხნის პარტბიუროს არ უნდა შეანელოს ეს მუშაობა.

გ. მეფისაშვილი.

თბილისის თამბაქოს № 2 ფაბრიკის დამტენ საამქროში. სურათზე: სიგარეტების დამტენი მანქანების მექანიკოსი მ. ჯუღაშვილი, რომელიც ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 160 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საშენი მასალები განიავებულია. სკოლის მშენებლობა ჭიანურდება

მეოთხე წელია, რაც ლაგოდეხში დაიწყო საშუალო სკოლისათვის შენობის აგება. ხარჯთაღრიცხვით მშენებლობისათვის განკუთვნილია 935 ათასი მანეთი. 1951 წლის აგვისტომდე მშენებლობას აწარმოებდა ლაგოდეხის რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილება (ყოფილი გამგე ე. ბურძგლა), რომელმაც ამ დროისათვის სკოლის მშენებლობაზე 536 ათასი მანეთი დახარჯა. უყაირათო მუშაკების ხელმძღვანელობით განიავებულია დიდძალი საშენი მასალა და ფული. მაგალითად, უგზოუკვლოდ დაიკარგა 43,1 ტონა კირი. ვინმე ვ. თაბუკაშვილს 10 ათასი მანეთი მისცეს ხე-ტყის დასამზადებლად, მაგრამ არავინ იცის, ეს მასალა რას მოხმარდა. მშენებლობისათვის განკუთვნილი 31.249 მანეთის საშენი მასალები კომუნალურმა განყოფილებამ სხვა ობიექტებზე დახარჯა — 7.735 მანეთი დაიხარჯა აბანოს მომსახურეტრანსპორტზე, 624 მანეთი სასტუმროს საჭიროებაზე, 120 მანეთი საპარიკმახეროზე. სულ არამიზნებრივად დახარჯულია 82.787 მანეთი.

სკოლის მშენებლობის გაჭიანურების გამო 1951 წლის აგვისტოდან ეს სამუშაო დაეკალა განათლების განყოფილების გამგეს კ. ქებაძეს და სამუშაოთა მწარმოებელს ინჟინერ გ. ნარინდოშვილს, რომლებსაც სკოლის მშენებლობისათვის განკუთვნილი მასალების დასაბრუნებლად არაფერი გაუკეთებიათ.

გ. ყაჯრიშვილი,

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ცხელი მინერალური წყაროს წყალი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). შარშან სოფელ ცაიშის მახლობლად გამოჩნდა ცხელი მინერალური წყარო, რომელიც უკვე გამოყენებულია კანის სხვადასხვა სნეულებათა სამკურნალოდ.

ამას წინათ იმავე წყაროს მახლობლად მდინარე ჯუმის მარცხენა ნაპირზე წიაღის სიღრმიდან ამოხეთქა ცხელი მინერალური წყლის უხვდებიტიანმა წყარომ. მიწის ზედაპირზე გამოჩენისას წყლის ტემპერატურა 60 გრადუსს უდრის.

საბჭოთა მთავრობის ნოტა ვენესუელის მთავრობასთან, დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ

ამა წლის 7 ივნისს ვენესუელის პოლიციამ სრულიად უსაფუძვლოდ დააპატიმრა ქალაქ კარაკასის აეროდრომზე ვენესუელაში სსრ კავშირის საელჩოს ახლადჩასული თანამშრომელი ნ. პ. იაკუშევი და მისი ცოლი და, მიუხედავად ვენესუელაში სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებულის ლ. ვ. კრილოვის პროტესტისა ამ უკანონო მოქმედების წინააღმდეგ, მეორე დღეს ისინი ვენესუელიდან გააძევა. ამასთან ლ. ვ. კრილოვის მიმართ ვენესუელის პოლიციის ხელისუფლებმა ხულიგნური მოქმედება დაუშვეს.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ამხ. გუსევმა 13 ივნისს ვენესუელის საქმეთა რწმუნებულს სსრ კავშირში ბ-ნ კარასკეროს შემდეგი ნოტა გადასცა:

„საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განუცხადოს ვენესუელის მთავრობას შემდეგი.

საბჭოთა საელჩოს თანამშრომელი ნ. პ. იაკუშევი და მისი ცოლი, რომლებიც 7 ივნისს ვენესუელაში ჩავიდნენ, სრულიად უსაფუძვლოდ დააპატიმრეს აეროდრომზე ვენესუელის პოლიციის ხელისუფლებმა, რომლებმაც ამასთან ანგარიში არ გაუწიეს იმას, რომ ნ. პ. იაკუშევს და ა. გ. იაკუშევას ჰქონდათ მექსიკაში ვენესუელის საელჩოს მიერ მიცემული შესასვლელი ვიზები. მიუხედავად სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებულის ლ. ვ. კრილოვის პროტესტისა იაკუშევების მიმართ დაშვებული თვითნებობის წინააღმდეგ, ნ. პ. იაკუშევი და მისი ცოლი მეორე დღეს ვენესუელიდან გააძევეს, ხოლო დროებითი საქმეთა რწმუნებულის ლ. ვ. კრილოვის მიმართ ვენესუელის პოლიციის ხელისუფლებმა ხულიგნური მოქმედება დაუშვეს.

8 ივნისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ვენესუელის საქმეთა რწმუნებულს მოსკოვში ბ-ნ კარასკეროს პროტესტი განუცხადა ვენესუელის პოლიციის ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი მოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვა ამ საქმის გამოძიება და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა.

ამ კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილების ნაცვლად, ვენესუელის საქმეთა რწმუნებულმა მოსკოვში ბ-ნმა კარასკერომ 11 ივნისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ფ. ტ. გუსევს ამ საკითხზე გაუკეთა განცხადება, რომელშიც უხეშად ამახინჯებენ კარაკასში ვენესუელის ხელისუფალთა პროვოკაციული მოქმედების ნამდვილ ხასიათს და ცდილობენ პასუხისმგებლობა კარაკასში მომხდარი ინციდენტისათვის დააკისრონ სსრ კავშირის დროებით საქმეთა რწმუნებულს ლ. ვ. კრილოვს და მის თანამხლებს — საელჩოს ატაშეს მ. ს. ალიაბიევს.

საბჭოთა მთავრობა გადაჭრით უარყოფს ამ ცდას, როგორც სრულიად უსაფუძვლოს.

იმის გამო, რომ ვენესუელის მთავრობამ, რომელიც, ცხადია მოქმედებდა თავისი ჩრდილოეთამერიკელი ბატონების კარნახით, დაუსაბუთლად დატოვა ვენესუელის პოლიციის დანაშაულებრივი მოქმედება საბჭოთა საელჩოს მიმართ და დაარღვია საერთაშორისო სამართლის ელემენტარული, საყოველთაოდ აღიარებული ნორმები, რაც იმას მოწმობს, რომ ვენესუელაში არ არსებობს დიპლომატიური საქმიანობის ნორმალური პირობები, საბჭოთა მთავრობა უკან იწვევს სსრ კავშირის დროებით საქმეთა რწმუნებულს და ვენესუელაში საბჭოთა საელჩოს შემადგენლობას და წყვეტს ურთიერთობას ვენესუელის მთავრობასთან.

ამასთან ერთად საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ შეუძლებელია მოსკოვში ვენესუელის საელჩოს შემდგომი ყოფნა და მოელის, რომ საელჩოს პერსონალი დაუყოვნებლივ დატოვებს საბჭოთა კავშირის ფარგლებს“.

ყველა კოლმეურნეობაში მოვაწყოთ ბავშვთა ბაგა

ჩვენი რესპუბლიკის უმრავლეს კოლმეურნეობებში კარგად მოწყობილი ბავშვთა ბაგები აქვთ. ასეთებია ლაგოდეხის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის, მახარაძის რაიონის ნატანების ბერიას სახელობის, ზუგდიდის რაიონის, გეგეჭკორიისა და თეთრი წყაროს რაიონების კოლმეურნეობათა ბავშვთა ბაგები.

მაგრამ კოლმეურნეობის ზოგიერთი ხელმძღვანელი ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის სრულ შეუფასებლობას იჩენს. სხვა რით შეიძლება აიხსნას, რომ ამბროლაურის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ფოთის, ზესტაფონის, ვანის, ხობის რაიონების კოლმეურნეობებში არც ერთი ბაგა არ არის მოწყობილი. ამ რაიონების კოლმეურნეობებში ცოტა როდია ისეთი სამუშაო (თესვა, მოსავლის აღება, ჩაის კრეფა და სხვ.), რომლებზეც ქალები მთავარ ძალას წარმოადგენენ. იმის გამო, რომ მოწყობილი არ არის ბავშვთა ბაგები, ქალები, რომლებსაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ, მოკლებული არიან შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ საკოლმეურნეო შრომაში.

ზოგიერთ ბაგაში მოუწესრიგებელია სამედიცინო მომსახურება. დაცული არ არის ბავშვთა მიღების წესები (სიცხის გაზომვა, ყელის გასინჯვა, ტანის დათვალიერება და სხვ.), რაც ქმნის ინფექციის შეტანის საფრთხეს.

საკოლმეურნეო ბავშვთა ბაგების მუშაობაში სერიოზული ნაკლია ისიც, რომ ისინი სათანადოდ მოწყობილი არ არიან ძუძუმწოვარ ბავშვთა მისაღებად.

საჭიროა ჯანმრთელობის დაცვისა და სოფლის მეურნეობის ორგანოებმა სათანადო ზომები მიიღონ, რომ ყველა კოლმეურნეობასთან მოეწყოს ბავშვთა ბაგები.

ექიმი ა. პეტროვა,
პედაგოგი რ. ახოკბაძე.

საერთაშორისო ამხანაგური მაჯჩი ფეხბურთში

სოფიის (ბულგარეთი) ნაკრები გუნდისა და თბილისის „დინამოს“ შეხვედრა

გუშინ მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე მრავალრიცხოვანი მაყურებლის თანდასწრებით სოფიის ნაკრებმა გუნდმა ჩაატარა მეორე ამხანაგური შეხვედრა. ამჯერად სტუმრებთან თამაშობდა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი.

შეხვედრა, რომელმაც უაღრესად მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, დამთავრდა თბილისელ „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

კომუნიზმის შუქი ვოლგიდან

საბჭოთა ადამიანებში მშვენიერი თვისება არის გამომუშავებული — რა ეროვნებისაც უნდა იყოს და ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს რომელ კუთხეშიც უნდა მოხვდეს, მარტოობას არასოდეს იგრძნობს. ყველგან და ყოველთვის გაგახარებს უცნობი ადამიანების გულკეთილი და გასაგები სიტყვა, მათი მეგობრული მხარდაჭერა.

ასე იყო ამჯერადაც. ქალაქის ცენტრში, იქ, სადაც დაღუპულ მებრძოლთა დიდებული მოედანია, გავიცანი ძველ სტალინგრადელი. ჭაღარა, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანღონიანი ივანე ტროფიმეს-ძე ვორობიევი.—ქართველი ხართ? — შემეკითხა მოხუცი. ძალიან სასიამოვნოა. ბევრი ხალხი ჩამოდის სტალინგრადის სანახავად. ამაში მოულოდნელი არაფერია. ჩვენმა ქალაქმა დაიმსახურა, რომ იგი უყვარდეთ და პატივს სცემდნენ...

სტალინგრადი!

ვის არ ააღელვებს ამ სიტყვის გაგონება, ვის არა სურს ნახოს საბჭოთა ხალხის განსაცვიფრებელი გმირობისა და სიმტკიცის ეს უკვდავი ძეგლი, ქალაქი, რომელმაც გაუძლო გამხეცებულ ფაშისტთა ურიცხვ დივიზიებს, ჯოჯოხეთურ საარტილერიო ცეცხლს, ომის ყველა საშიხელებას.

არასოდეს არ ჩაქრება სტალინგრადის დიდების ვარსკვლავი, არასოდეს არ დაივიწყებენ სტალინგრადის გმირ დამცველებს, იმათ, ვინც მსოფლიო გააკვირვა თავისი სიმტკიცით.

საბჭოთა ადამიანებმა სტალინგრადში ხერხემალი გადაუმტვრიეს გაცოფებულ ჰიტლერელ მხეცს. ადვილი როდი იყო ომების ისტორიაში ამ უდიდესი ბრძოლის მოგება: ვისაც სტალინგრადი ომის დამთავრების პირველ დღეებში უნავსებს, მას არ დაავიწყდება ქალაქის საშინელი ჭრილობები — უფორმო მასად ქცეული ორმოცდარვა ათას ორასი ნაგებობა, დანგრეული წყალსადენი, კანალიზაცია, ფაბრიკები, ქარხნები, თეატრები...

და ახლა სიამოვნებით ვუცქერით ახალ სტალინგრადს, მის ახალ, ნათელ შენობებს, ახალ ქუჩებს, მწვანე სამოსელით შემკულ პარკებს. ფაშისტებს სურდათ მოეკლათ ქალაქი, მაგრამ ეს მათ ვერ შეძლეს. შესანიშნავი თეატრები, ლამაზი საცხოვრებელი სახლები, აღდგენილი ფაბრიკები, ქარხნები ამშვენებენ სამოცდახუთი კილომეტრი სიგრძის გმირ ქალაქს.

— ომამდელზე უფრო ლამაზი გახდა ჩვენი სტალინგრადი, — შენიშნავს ივანე ტროფიმეს-ძე. მართლაც უფრო ლამაზი, უფრო ძლიერი გამხდარა იგი. ხედავთ სწორ და გაკრიალებულ ქუჩებს, მოღიმარ ადამიანებს, ისმენთ ბავშვების უდარდელ სიცილს და არ გჯერათ, რომ აქ რამდენიმე წლის წინათ ომის ხანძარი სწვავდა ყველაფერს.

ივანე ტროფიმეს-ძე ვოლგის გადასახედზე გამომყვა. მშვიდობის ქუჩა გავიარეთ და პატარა სკვერში შევედით. აქ სტალინგრადის ბრძოლებში დაღუპულთა საძმო საფლავია.

— ხამნი განისვენებენ. კაპიტანი ფატიახდინოვი, საბჭოთა კავშირის გმირი კამენშჩიკოვი და დოლორეს იბარურის შვილი — რუბენი — მეტყვიამფრქვევეთა ოცეულის მეთაური. ორმოცდაორში დაიღუპნენ, როცა ფაშისტები ქალაქის ცენტრში შემოიჭრნენ, — მოიგონა მოხუცმა.

საფლავი ცოცხალი ყვავილებით არის შემკული. სტალინგრადელები არ ივიწყებენ იმათ, ვინც თავი დადო სამშობლოსათვის, სტალინისათვის.

ტრამვაის ლიანდაგზე გადავედით, მწვანეში ჩაფლული პარკი გადავკვეთეთ და მოულოდნელად ვოლგის ციცაბო ნაპირზე აღმოვჩნდით.

შესანიშნავი, ჭეშმარიტად დაუვიწყარი სურათი გადაიშალა ჩვენს წინაშე. ვუცქერდით მოლურჯო ნისლში გახვეულ ვოლგისპირეთს, გაუთავებელ სივრცეებზე გადაჭიმულ ტყეებსა და ველებს, ვხედავდით „დედა ვოლგას“, მის ტალღებზე მიმავალ გემებს, ვისმენდით გმირი ქალაქის ხმაურს, გიგანტური ქარხნებისა და ფაბრიკების დევგმირულ სუნთქვას და ვფიქრობდით:

— რა დიადი და ლამაზია ჩვენი ქვეყანა, რა ძლიერი და ყოვლისშემოქმედია ჩვენი ხალხი!

ჩვენს ქვემოთ ვოლგაა—რუსი ხალხის საყვარელი მდინარე, მრავალი ისტორიული ქარტეხილის მოწმე. ღრმა სიყვარულითა და ნათელი შთაგონებით უმღერეს ვოლგას რუსმა მწერლებმა და პოეტებმა, მხატვრებმა და კომპოზიტორებმა.

დღეს აქ, რუსეთის ამ დიდ მდინარეზე შენდება კომუნიზმის დიადი ნაგებობანი — კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურები. აქ იწყება ვოლგა-დონის არხი...

მაქსიმ გორკი მშობლიური მდინარის მიდამოების შესახებ წერდა: „...არა მგონია ქვეყანაზე კიდევ იყოს ასეთი უბრალო, ასეთივე ალერსიანი სილამაზის ადგილები, როგორც ამ მდინარის წყნარი ნაპირებია“.

— ამ თქმაში ყველაფერი მართალია

გარდა ერთისა, ვოლგის ნაპირებზე სიწყნარე აღარ არის, — შენიშნა ივანე ტროფიმეს-ძემ.

• • •

1950 წლის 21 აგვისტოს ჩვენი ქვეყნის ადამიანებმა უდიდესი სიხარულის გრძნობით წაიკითხეს საბჭოთა მთავრობის დადგენილება მსოფლიოში ყველაზე გიგანტური ელსადგურის — კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების შესახებ.

ამ დადგენილების გამოქვეყნების 10 დღის შემდეგ მსოფლიომ შეიტყო საბჭოთა ხალხის დევგმირული ძალის ახალი გამოვლინება. ცნობილი გახდა, რომ ვოლგაზე იწყება მეორე გიგანტური ელსადგური — სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის აგება.

პირველი ელსადგური შენდება კუიბიშევის მახლობლად, ჟიგულის მთებთან, მეორე აქ—სტალინგრადის მახლობლად.

თითქმის სამი ათასი კილომეტრია ვოლგის სიგრძე, მას შვიდი ათასი დიდი და პატარა შენაკადი ერთვის. ვოლგა შორეული წარსულიდან იაფი გზით აკავშირებდა რუსეთის ცენტრალურ რაიონებს შუა აზიასთან, კავკასიასთან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

ვოლგის სათავე კალინინის ოლქშია, აქედან ის მიედინება 13 ოლქისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და კასპიის ზღვაში ყოველწლიურად ორას ორმოცდაათ მილიონზე მეტი კუბური მეტრი წყალი ჩააქვს.

მდინარის შუა და ქვემო ნაწილში, განსაკუთრებით მარჯვენა მხარეს მრავალ ასეულ კილომეტრზე გადაშლილია ნახევრადუდაბნო და გვალვიანი მინდვრები. აქედან სარპის ველებს უკავია 2 მილიონი ჰექტარი, ხოლო „შავ მიწებსა“ და ნოღაის ველს 6,5 მილიონი ჰექტარი, თითქმის იმდენი ტერიტორია, რაც ჰოლანდიასა და ბელგიას.

აღსანიშნავია, რომ ამ მიწების მეტი წილი ნაყოფიერებით სჭარბობს მდინარე ნილოსის ცნობილ მიწებს, მაგრამ სარწყავი არხებისა და წყლის რესურსების უქონლობა დიდად აფერხებს ინტენსიური მეურნეობის წარმოებას.

ყარა-ყუმის უდაბნოების ცხელ ქარებს ყოველწლიურად მოაქვთ ამ ველებზე უამრავი ქვიშა.

მზის სხივებისაგან გავარვარებული ქარი ადამიანის საშინელი მტერია. იგი შეუბრალებლად სპობს მცენარეულობას, ახმობს ბალახს, აშრობს გუბეებს.

1891 წლიდან 1911 წლამდე—12 წელიწადი გვალვიანი იყო. მათგან სამი წელი მასობრივი შიმშილობა იყო, მილიონობით ადამიანი დაიხოცა, მრავალი გადაიხვეწა სხვა კუთხეებში.

რევოლუციამდელ რუსეთში არაფერი გაკეთებულა გვალვის საწინააღმდეგოდ, ადამიანთა საშინელი მტრის — უდაბნოს შემოტევის აღსაკვეთად. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწყო ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმის განხორციელება.

საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერებისა და მძლავრი საბჭოთა ტექნიკის გამოყენებით, პარტიისა და მთავრობის დახმარებით, კოლმეურნეებმა მკვეთრად გაზარდეს მოსავლიანობა, აამაღლეს მიწათმოქმედების კულტურა.

ვოლგისპირეთის ბევრ რაიონშიც შეიცვალა მეურნეობის პირობები. სოფელ გავრილოვკაში, რომლის მცხოვრებთა ტრაგედიაზე ერთ დროს გულისტკივილით წერდა ლ. ნ. ტოლსტოი, ბედნიერი საკოლმეურნეო ცხოვრება ჰყვავის. გავრილოვკელებმა სამუდამოდ დაამარცხეს გვალვა და ახლა შეძლებულად ცხოვრობენ.

გმირმა და შემოქმედმა საბჭოთა ხალხმა ახლო ხანში გვალვიან რაიონებში უნდა გააშენოს 6 მილიონი ჰექტარი სატყეო ზოლი, მოაწყოს 45 ათასი გუბურა და წყალსაცავი. კომუნიზმის დიად მშენებლობათა დამთავრების შემდეგ ჩვენი ქვეყანა ყოველწლიურად მიიღებს 22 მილიარდზე მეტ კილოვატსაათ ელექტროენერგიას, მიიღებს უამრავ პროდუქტებს ახლად მორწყულ და წყლით უზრუნველყოფილ მიწებზე, რომელთა ფართობი 28 მილიონ ჰექტარს შეადგენს.

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ასეთი გრანდიოზული გეგმები.

ვოლგის გიგანტური მშენებლობანი კომპლექსური ხასიათისაა და ერთდროულად რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ამოცანას გადაჭრის.

ვოლგის ელსადგურები უწინარეს ყოვლისა საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვავითაროთ სოციალისტური ინდუსტრია. კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე 2,1 მილიონ კილოვატს მიაღწევს. იგი ყოველწლიურად გამოიმუშავებს 10,7 მილიარდ კილოვატ-საათს. ეს სამნახევარჯერ მეტია დნეპრჰესის ომისწინა სიმძლავრეზე. მარტო კუიბიშევი და სარატოვი ამ სადგურიდან ყოველწლიურად მიიღებენ 2,4 მილიარდ კილოვატ-საათ ენერგიას, 26 პროცენტით მეტს, ვიდრე მეფის რუსეთში არსებული ყველა ელექტროსადგური იძლეოდა.

ყოველწლიურად კუიბიშევჰესი მოსკოვს და მასთან დაკავშირებულ რაიონებს მისცემს 6 მილიარდზე მეტ კილოვატ-საათ ენერგიას. ეს სადგური მსოფლიოში ყველაზე მძლავრი იქნება.

სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე 1.700 ათასი კილოვატი იქნება ანუ 300 ათასი კილოვატით მეტი ამ 39 ჰიდროელექტროსადგურთან

მოსავლის აღებისათვის გულდასმით არ ემზადებიან

ბოლნისის რაიონში სუსტად ემზადებიან თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისათვის. ეს აკითხი ამას წინათ განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის პლენუმმა და აღნიშნა მოსავლის აღებისათვის მზადების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. პლენუმმა საანადო ღონისძიებანიც დასახა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მოსალოდნელი იყო, რომ აქედან პირველ ოგში საჭირო დასკვნებს გააკეთებდა ბისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილება და მისი გამგე ხ. ი. ლომინიშვილი. პირიქით მოხ. იგი იშვიათად დადის კოლმეურნეობებში, კონკრეტულად არ ეხმარება მათ მოსავლის აღებისათვის მზადებაში.

კიდევ მეტი: ამხ. ლომინიშვილი დილობს. ყველაფერი კარგად მოგვაენოს. მაგრამ ნამდვილად რაიონში ერიოზული ჩამორჩენაა მოსავლის აღებისათვის მზადებაში, თივის დამზადებისა და სილოსის ჩადების საქმეში. კოლმეურნეობათა უმრავლესობაში ესრიგზე არ არის მოყვანილი მოსავლის აღებისათვის საჭირო იარაღ-მანქანები, დიდი რაოდენობით აკლიათ ბრბები, ტომრები, ქიანურდება მარცეულის საწყობებისა და ფარდულების რემონტი და დეზინფექცია, არ შედგენიათ მოსავლის აღების გეგმა, უყადღებას არ აქცევენ საბავშვო ბაღებსა და ბაგების მოწყობას. არ ჩქარობენ თიბვასა და სილოსის ჩადებას. ეს აშინ, როცა რაიონში წელს გეგმით ენდა დაამზადონ 4.400 ტონა თივა და 5.200 ტონა სილოსი. ხელსაყრელი ამინდების გამო უხვად არის ბალახი. მაგრამ თიბვის დავალების მესაედიც არ არის შესრულებული, ხოლო ილოსის ჩადება კოლმეურნეობებს რც კი დაუწყიათ. ბოლნისისა და თაარისის მტს-ებმა ასეულობით ჰექტარ ბუნებრივი და ნათესი ბალახები ენდა გათიბონ. მაგრამ 13 ივნისისაეის ეს სამუშაო დაწყებულიც არ ონდათ. სათიბი მანქანები უქმად დგნენ.

თამარისის მტს-მა მოსავალი უნდა აღოს 4.000 ჰექტარზე, ხოლო უნდა ალეწოს 1.000 ტონა მარცვლეული. ტს-ს ჰქონდა 2 სალეწი მანქანა, რომლებიც შარშან გადაეცა წალკისა და ბანისის მტს-ებს. თამარისის მტს-ს ქამად არცერთი სალეწი არა აქვს. ეს დგომარეობა იციან საქართველოს სსრ ოფლის მეურნეობის სამინისტროში, აგრამ მტს-ს კონკრეტულ დახმარებას არ უწევენ სალეწი მანქანებით უზრუნველყოფის საქმეში.

ბოლნისის მტს-ში (დირექტორი დ. უგრეხელიძე) კომბაინების რემონტი მაისში დაამთავრეს. მაგრამ შემოწმებით გამოირკვა, რომ ზოგიერთ კომბაინს დეფექტები ჰქონდა. № 2 კომბაინს, რომელიც რემონტიდან 29 აპრილს გამოუშვეს, წესრიგზე არ ჰქონდა ბენზინის ავზი, ჯაჭვის გორგოლაჭი, მარცვალმჭრელი და სხვ. ასეთსავე მდგომარეობაში იყო № 4, № 3 და № 6 კომბაინები. დეფექტიანი კომბაინები გამოუშვეს აგრეთვე თამარისის მტს-ში. ბოლნისის მტს-ში ახლაც შესაკეთებელია 2 სალეწი მანქანა. მოსავლის აღების დღეები მოახლოებულია, ხოლო ბოლნისისა და თამარისის მტს-ებს დღემდე არ შეუდგენიათ კომბაინების მოსავლის აღების გრაფიკი, ღამით მუშაობისათვის არ არიან უზრუნველყოფილნი, საათობრივი გრაფიკით მუშაობის მოწყობაზე სრულიად არ ფიქრობენ.

ბოლნისის მტს-ში არა ჰყავთ უფროსი მექანიკოსი და უბნის 2 მექანიკოსი. აკლიათ ტრაქტორები. თამარისის მტს-ში იარაღ-მანქანები მინდვრად ყრია, შეუწყანარებლად ჭიანურდება სახელოსნოს მშენებლობა და მტს-ის კეთილმოწყობა.

სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ (თავმჯდომარე ბ. მახმუდოვი) პურეული 1.550 ჰექტარზე უნდა აიღონ. აქედან სათესლე ნაკვეთი 200 ჰექტარს შეადგენს. კომბაინებით ასაღებად გათვალისწინებულია 1.300 ჰექტარი, დანარჩენი კი ხელით უნდა მომკან, მაგრამ ხელით ასაღებ ნაკვეთებში სამუშაოდ დღემდე გამოყოფილი არ არიან კოლმეურნეები, აღრიცხული არ არის ცელები, ნამგლები და სხვა საჭირო ინვენტარი. ასეთივე მდგომარეობაა რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

როგორც ჩანს, რაიონში მოსავლის აღებისათვის მზადება ჯერ კიდევ ხელოვნურ ტემპით მიმდინარეობს. საჭიროა პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და რაისაბჭოს აღმასკომმა ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის, გადაჭრით გააუმჯობესონ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა, მთელი ძალები დარაზმონ მოსავლის აღებისათვის ყოველმხრივ მოსამზადებლად — ასეთია ამოცანა.

ნ. ჯანჯღავა,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

◁ ▷

ა. ჰეიშვილის რომანი „ლელო“ პოლონურ ენაზე

გამომცემლობა „ქშონწკა ი ვედზამ“ („წიგნი და ცოდნა“) პოლონურ ენაზე გამოსცა სტალინური პრემიის ლაურეატის ალექსანდრე ჰეიშვილის რომანი „ლელო“.

წიგნი თარგმნილია ეკი ბეენჩკოვსკის მიერ. რედაქტორია მარია სკალსკაია. წიგნს დართული აქვს კრიტიკოს ბესო ღოენტის ბოლოსიტყვაობა.

სურათზე: ა. ჰეიშვილის პოლონურად გამოცემული რომანის „ლელოს“ გარეკანი.

დოკუმენტალური ფერადი ფილმები

თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის დოკუმენტალური ფილმების სექტორმა დაიწყო მზადება მთელი რიგი დოკუმენტალური ფერადი ფილმების გადასაღებად. გამოყოფილი არიან ჯგუფები, რომლებიც უკვე შეუდგნენ მუშაობას.

რეჟისორ ნ. გრძელიშვილის ჯგუფს დავალებული აქვს გადაიღოს ფილმი „ბელადის სამშობლო“.

ფილმში ნაჩვენები იქნება ქალაქი გორი, სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა ხალხთა დიდმა ბელადმა ი. ბ. სტალინმა, ნაჩვენები იქნება აგრეთვე ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიულ-რევოლუციური ადგილები.

ფილმის სცენარის ავტორია ვ. კარსანიძე, ოპერატორი — ფ. ვისოცკი.

რეჟისორი ა. ჯალიაშვილი შეუდგა მეორე დოკუმენტალური ფერადი ფილმის „საქართველოს ნაკრძალების“ გადაღებას.

ფილმი „საქართველოს ნაკრძალები“ ეკრანზე გაჩოვა აგვისტოს შუა რიცხვებში.

რეჟისორი შ. მანაგაძე იწყებს დოკუმენტალური ფერადი ფილმის „საქართველოს სპორტსმენების“ გადაღებას.

ფილმში ნაჩვენები იქნება კრივი, ჭიდაობა, ტანვარჯიში, ცურვა და სხვ.

რეჟისორ ი. კახდელაკს დაკისრებული აქვს ივნისის დამლევს სოფელ ნატანების ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში შეუდგეს დოკუმენტალური ფერადი ფილმის გადაღებას ახალი საკოლმეურნეო ცხოვრების ასასახავად.

ფილმის სცენარის ავტორია ვ. კარსანიძე, ოპერატორი — ა. ფილიპაშვილი.

მიტინგი ბერლინში კორეელი ხალხის დასაცავად

ოტო გროტეოლის გამოსვლა

ბერლინი, 14 ივნისი. (საკდესი). გუშინ ბერლინში გაიმართა ბერლინის მშრომელთა გრანდიოზული საპროტესტო მიტინგი შეერთებული შტატების მიერ კორეაში გაჩაღებული დანაშაულებრივი ომისა და კუნძულ კოჯედოზე ამერიკელი აგრესორების მიერ კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების სისხლსღვრის წინააღმდეგ.

მიტინგზე მოვიდნენ კორეის სავაჭრო დელეგაცია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის ტიან სი უმ მეთაურობით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრის ოტო გროტეოლის მეთაურობით. მათ დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში ტიან სი უმ განაცხადა: „ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკელმა იმპერიალისტებმა, რომლებიც მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობენ და სისხლსღვრის გეგმების პირველ მსხვერპლად ჩვენი სამშობლო აირჩიეს, დაიწყეს კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო ბარბაროსული აგრესიული ომი ჩვენი ხალხის დამონების მიზნით.

მთელმა კორეელმა ხალხმა იცის, რომ, ამერიკელი იმპერიალისტები რომ არ ჩარეულიყვნენ კორეის საშინაო საქმეებში, ჩვენი ხალხი დიდი ხანია გაერთიანდებოდა ერთ ოჯახად, ერთ ერად“.

„ამერიკის იმპერიალიზმის მთავარი მიზანი, — განაგრძო ტიან სი უმ, იყო და დღესაც არის ის, რომ დადაქცეოს კორეა სახალხო ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიის პლაცდარმად.“

გამოთქვა რა მტკიცე რწმენა, რომ კორეელი ხალხის სამართლიანი განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელსაც ეგი ჩინელ მოხალისეებთან ხელიხელჩაკიდებული ეწევა, წარმატებით დაგვირგვინდება, ტიან სი უმ განაცხადა: „კორეის ომმა დაგვანახვა, რომ ამერიკის იმპერიალიზმის სამარცხვინო შეთქმულება ჩაიფუშა“.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა.

ოტო გროტეოლმა აღნიშნა, რომ კორეაში ამერიკელი იმპერიალისტების პოლიტიკა, რაც წინ უსწრებდა კორეაში ამერიკის ჯარების შეჭრა ინტერვენციას, წაეგავს ამერიკელი მონოპოლისტების პოლიტიკას გერმანიაში. მათ პოტსდამის შეთანხმების წინააღმდეგ განახორციელეს გერმანიის გათიშვა, განუწყვეტლივ აღრმავებენ ამ გათიშვას და დასავლეთ გერმანიას აქცევენ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის მეგზურების წინააღმდეგ ომის პლაცდარმად.

გერმანელი ხალხი, განაგრძო გროტეოლმა, თავისი ეროვნული ერთიანობის აღდგენის გზაზეა. ვერაფერი და ვერავინ ვერ გვაიძულებს ხელი ავიღოთ ჩვენს სამართლიან მოთხოვნებზე საზავო ხელშეკრულების შესახებ.

გროტეოლმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებანი დასავლეთის სახელმწიფოებისადმი, დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნას ოთხი დიდი სახელმწიფოს მოლაპარაკება გერმანიის საკითხის რაც შეიძლება მალე მშვიდობიანად გადაწყვეტის მიზნით, გზას უხსნიან გერმანელი ხალხის სურვილების განხორციელებას, აგრეთვე მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებას, და განაცხადა:

„ჩვენ მოვუწოდებთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობას და ყველა გერმანელ პატრიოტს კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ მთავრობას გარშემო დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დროშით და მხარი დაუჭიროონ მის ღონისძიებებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განსამტკიცებლად. ახლა მარტო სიტყვები აღარ კმარა. ჩვენი ბრძოლა ახალ ფაზაში შედგა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისთვის დღის წესრიგში დგას მშვიდობის აქტიური შეიარაღებული დაცვა. გერმანელმა ხალხმა და მეცხა ახალგაზრდობამ უნდა შეიგნონ მომენტის სერიოზულობა და მოაწყონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული თავდაცვა, ჩვენი საშშობლოს, ჩვენი დიდი მშენებლობისა და ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების დაცვა, რათა ჩვენმა ხალხმა თავიდან აიცილოს კორეის ბედი“.

დასასრულ მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მრისხანე პროტესტს გამოთქვამენ ბაქტერიოლოგიური ომის წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკელი იმპერიალისტები ეწევიან და ომის წინააღმდეგ, რომ კუნძულ კოჯედოზე ამერიკელთა სამხედრო ბაზა მზეცურად ეპყრობა კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში

ბერლინი, 13 ივნისი. (საკდესი). როგორც აღნ-ის საგენტოს ცნობიდან ირკვევა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გუშინდელ სხდომაზე მოიწონა შეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან 1952 წელს საქონელგაცვლისა და გადასახდელების შესახებ. ამ შეთანხმების მიხედვით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან 1952 წელს ძირითადად ეგებ-ის ნაგებობათა ნაკეთობებს, ტელეფონებს, ტელეგრაფებს, ელექტრულ ნაკეთობებს, ოპტიკურ ინსტრუმენტებს, ქიმიურ ნივთიერებებს, ბეტონის ნაკეთობებს, ბეტონის ნარევ მანქანებს, ბეტონის ტუმბოებს, ბეტონის ბლოკებს, ბეტონის ბოძებს, ბეტონის ფილებს, ბეტონის ბეჭედ ბოძებს, ბეტონის ბეჭედ ფილებს, ბეტონის ბეჭედ ბლოკ

პასუხი შეკითხვაზე

რას წარმოადგენს „საერთო ხელშეკრულება“

(ფ. ქიზილაშვილის შეკითხვა, თბილისი)

1952 წლის 26 მაისს ბონში ხელი მოაწერეს ეგრეთწოდებულ „საერთო ხელშეკრულებას“ ერთი მხრივ დასავლეთ გერმანიის „ფედერალურ რესპუბლიკას“ და მეორე მხრივ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის.

„საერთო ხელშეკრულება“ შედგება ხუთი კონვენციისაგან: 1. საკუთრივ „საერთო ხელშეკრულება“, 2. „შეთანხმება ჯარების შესახებ“, 3. ფინანსური შეთანხმება, 4. შეთანხმება „დასავლეთ სახელმწიფოთა კანონებისა და ინტერესების შესახებ“ და 5. შეთანხმება სამედიატორო ტრიბუნალის შესახებ.

„საერთო ხელშეკრულების“ მთავარი მიზანია დასავლეთ გერმანიის სრული დამორჩილება და მისი ჩაბმა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა აგრესიულ ბლოკში. „საერთო ხელშეკრულების“ ტექსტში პირდაპირ აღნიშნულია, რომ „სამ სახელმწიფოს (იგულისხმება ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი—ჯ. ლ.) შეუძლია გამოაცხადოს განსაკუთრებული მდგომარეობა ფედერალური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე და მიიღოს ყოველგვარი ზომები, სამხედრო ძალის გამოყენების ჩათვლით“. ამრიგად, თვით ხელშეკრულების ტექსტიდან ჩანს, რომ დასავლეთ გერმანიის დამოუკიდებლობაზე, მის ეროვნულ სუვერენიტეტზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

„საერთო ხელშეკრულების“ თანახმად ამერიკის სამხედრო სარდლობას უნდა დაემორჩილოს დასავლეთ გერმანიის მთელი სამხედრო ძალები, აეროდრომები, სამხედრო ბაზები და კომუნიკაციები. დასავლეთ გერმანია აქტიური წევრი უნდა გახდეს ევროპის ეგრეთწოდებული „თავდაცვითი თანასაზოგადოებისა“. ხელშეკრულების ფინანსური შეთანხმებით განსაზღვრულია დასავლეთ გერმანიის მიერ „დასავლეთის თავდაცვის“ საქმეში „წინასწარი შენატანი“—11,25 მილიარდი მარკა წელიწადში. თუ ამას დავუმატებთ იმას, რომ შეთანხმებით „დასავლეთ სახელმწიფოთა კანონებისა და ინტერესების შესახებ“ უზრუნველყოფილ უნდა იქნას ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მიერ მიღებული კანონებისა და ყოველგვარი ხელშეკრულებების ძალაში დატოვება და მათი სავალდებულო შესრულება დასავლეთ გერმანიის მთავრობის მიერ, მაშინ ცხადი გახდება, რომ „საერთო ხელშეკრულება“ წარმოადგენს ისტორიაში უპრეცედენტო დოკუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს დასავლეთ გერმანიის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დამონებას.

ევროპის ქვეყნების ხალხები, უწინარეს ყოვლისა გერმანელი ხალხი, აღშფოთებული არიან მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების“ ხელმოწერით, ხელშეკრულებისა, რომელიც ნიშნავს იმას, რომ მშრომელებს წართვას გაფიცვის უფლება, მოისპოს გერმანიის დამოუკიდებელი ეკონომიკა, დაწესდეს აგრესიული მილიტარიზმის ბატონობა, შემოღებულ იქნას იძულებითი სამხედრო ბეგრის კანონი, და, ბოლოს, ნიშნავს ომსა და განადგურებას.

„საერთო ხელშეკრულება“ დასავლეთის სახელმწიფოებს ანიჭებს უფლებას თავიანთი ჯარები განალაგონ დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე, იგი მხოლოდ ფორმალურად ცვლის დასავლეთის სახელმწიფოთა საოკუპაციო სტატუტს, ფაქტიურად კი ძალაში რჩება დასავლეთ გერმანიის სამხედრო ოკუპაციის რეჟიმი.

ბონის რეაქციულმა მთავრობამ, რომელმაც ხელი მოაწერა მილიტარისტულ „საერთო ხელშეკრულებას“, ფეხქვეშ გათელა გერმანელი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ადენაუერმა ომის გამჩაღებელთა საამებლად საბოლოოდ გაყიდა გერმანელი ხალხის ინტერესები. ბონის მთავრობის პოლიტიკას მხარს უჭერს მხოლოდ ფაშისტური ხროვა, რომლის ერთ-ერთი მესვეურია ყოფილი ჰიტლერელი გენერალი გალდერი. 1951 წლის დასაწყისში თავის გამოსვლაში გენერლების თათბირზე გალდერი, გამოხატავდა რა გერმანელი ფაშისტი იმპერიალისტების მისწრაფებას, აღნიშნავდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც მესამე მსოფლიო ომს ამზადებენ, მთავარ იმედებს ამყარებენ გერმანიის სამხედრო ხროვაზე. ამერიკის შეერთებული შტატების მიზანს,—ამბობდა გალდერი, — წარმოადგენს „დასავლეთ გერმანიის განუსაზღვრელი შეიარაღება“.

„საერთო ხელშეკრულება“ მიზნად ისახავს გერმანიის იმპერიალიზმის აღორძინებას, გერმანიის ფაშისტური არმიის აღდგენას, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა არაერთგზის მოუწოდებდა დასავლეთ გერმანიის პარლამენტს და მთავრობას — დაწყებულიყო მოლაპარაკება გერმანიის გაერთიანების საკითხებზე და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დასადებად.

სსრ კავშირის მთავრობის პოზიცია გერმანიის საკითხში ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა მთავრობის 1952 წლის 10 მარტის, 9 აპრილისა და 24 მაისის ნოტებში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

საბჭოთა მთავრობის წინადადებანი ითვალისწინებენ გერმანიის გაერთიანებას, გერმანიის ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანას და ერთიანი, დამოუკიდებელი და მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის შექმნას, მასთან საზავო ხელშეკრულების დადებას და, მაშასადამე, ევროპაში და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვას.

საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა გერმანიის საკითხში ხელს უშლის ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტების აგრესიული გეგმების განხორციელებას ევროპაში. ამიტომ დასავლეთის სახელმწიფოებმა ირჩიეს სეპარატული შეთანხმების დადება დასავლეთ გერმანიის მთავრობასთან, რითაც კიდევ უფრო გაამძაფრეს გერმანიის გაერთიანება და ერთიან გერმანიასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადება. ამით დასავლეთის სახელმწიფოები საფრთხეს უქმნიან არა მარტო გერმანელ ხალხს, არამედ საკუთარი ქვეყნების ხალხებსაც. მაგალითად, უკანასკნელი 80 წლის მანძილზე საფრანგეთი სამჯერ გახდა მსხვერპლი გერმანიის იმპერიალიზმისა.

რაც შეეხება დასავლეთის ქვეყნების ხალხებს, ისინი დიდი აღშფოთებით შენდგენ „საერთო ხელშეკრულების“ ხელმოწერას. გერმანიის დემოკრატიული საზოგადოებრიობა, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები მხარს უჭერენ გერმანიის გაერთიანების საქმეს, გერმანიასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადებას. ამის დამადასტურებელია ის უდიდესი პოლიტიკური გამოხმაურება, რომელიც გამოიწვია საბჭოთა მთავრობის ნოტებმა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

ჯ. ლომაშვილი.

როგორც კი გვეყოლება 15 დივიზია, ჩვენ მაშინ სულ სხვა ენაზე მოველაპარაკებით საფრანგეთს — განაცხადა ადენაუერის ერთ-ერთმა სამხედრო მრჩეველმა (გაზეთებიდან).



რაც მოგვივა დავითაო... ყველა შენი თავითაო.

ნახატი გ. ლომიძისა.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 13 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 13 ივნისს გამოაქვეყნა ცნობა:

ყველა ფრონტზე სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს, ამასთან ფრონტის ცალკეულ უბნებზე წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის გააფთრებულ იერიშებს და ზარალს აყენებდნენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ზურგის დასახლებული პუნქტების დაბომბვასა და ტყვიამფრქვევის დაშენაში.

ამერიკის ავიაციის ბარბაროსული თავდასხმა ფხენიანზე

ფხენიანი, 13 ივნისი. (საკდესი). დღეს დღისით ამერიკის რეაქტიულმა ავიაგამანადგურებლებმა, მოიერიშეებმა და „მფრინავი ციხის“ ტიპის ბომბდამშენებმა არაერთხელ ბარბაროსულად დაბომბეს და ტყვიამფრქვევი დაუშინეს ფხენიანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს. ამ ბანდიტური თავდასხმის შედეგად მშვიდობიან მოსახლეობაში არის მსხვერპლი და ქალაქის საცხოვრებელ უბნებში დანგრეულია შენობები.

ბოლო მოეღოს ამერიკელთა სამხედრო ხროვის ბოროგმოქმედებას კუნძულ კოჯედოზე!

ლი დე-ციუანის განცხადება

პეკინი, 13 ივნისი. (საკდესი). სინხუას საააგენტო იუწყება, რომ ჩინეთის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე ლი დე-ციუანმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოუწოდებს ბოლო მოეღოს ამერიკელების მიერ კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების მასობრივ მკვლელობას.

„მთელმა მსოფლიომ იცის, — აღნიშნავს ლი დე-ციუანი,—რომ კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში ამერიკის მხარემ დაარღვია საერთაშორისო სამართალი და ჟენევის კონვენცია თავისი ეგრეთწოდებული „ნებაყოფლობითი რეპატრიაციით“ და ძალდატანებითი „შერჩევით“—ცდილობს უკანონოდ დააკავოს ჩინეთისა და კორეის მხარის 100 ათასზე მეტი სამხედრო ტყვე. როცა ეს ტყვეები თვითონ გამოვიდნენ დაზავების მიღწევის შემდეგ დაუყოვნებლივ შინ დაბრუნების თავიანთი ძირითადი უფლების დასაცავად, ამერიკელებმა ტყვიამფრქვევები, ხელის გრანატები, ავტომატები და ავტომატსაფრქვევი ტანკებიც კი გამოიყენეს მათი დაშენებისა და დახოცვისათვის. ტყვეებს მხეცურად ექცეოდნენ—მათ შიმშილით კლავდნენ, სცემდნენ, აწამებდნენ, ახრჩობდნენ, წამლავდნენ, პირში წყალს ასხამდნენ, იყენებდნენ მათ ქიმიური, ატომური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოსაცდელად.

ჩინეთის წითელი ჯვრის საზოგადოების სახელით მე ერთხელ კიდევ მზურვალედ მოვუწოდებ მთელი მსოფლიოს წითელი ჯვრის საზოგადოებათა მუშაკებს და წევრებს შეუერთდნენ ყველა იმათ, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, გაერთიანდნენ ჰუმანიზმის დროშით და ეფექტიანი ღონისძიებანი მიიღონ ადამიანის ღირსების დასაცავად, საერთაშორისო სამართლიანობის გამარჯვებისა და იმისათვის, რომ შეწყდეს კორეის სახალხო არმიის ტყვე ჯარისკაცთა და ტყვე ჩინელ სახალხო მოხალისეთა მკვლელობა, რასაც ამერიკის ჯარები სჩადიან კუნძულ კოჯედოზე, პუსანში, იონჩხონსა და სხვა ადგილებში“.

თბილისის ცხოვრებიდან

საყურადღები კედელი მცხვრის მარჯვენივ

ორთაჭალიანის ამუშავებასთან ერთად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, პირველ რიგში მეტეხის ხიდიდან ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ადგილამდე ჰომავალი სანაპირო ქუჩის საყრდენი კედლის აგება. უამისოდ შეუძლებელი იქნება ჰიდროელექტროსადგურის ამუშავება, ე. ი. კაშხალის ჩაკეტვა ფარებით, რათა წყალი დაგუბდეს და წყლის მასის წნევის შედეგად ტურბინგენერატორები ამუშავდნენ.

საყრდენი კედლის აგების პროექტი დამტკიცებულია. მეტეხის ხიდიდან ორთაჭალიანის მშენებლობამდე სანაპირო საყრდენი კედლის მშენებლობა დაკისრებული აქვს ორთაჭალიანის მშენებელთა კოლექტივს. უახლოეს დროში სანაპიროს გაყოლებით დაიწყება არსებული შენობების აღება და მშენებლები შეუდგებიან მაწის სამუშაოთა შესრულებას.

მშენებლებმა ამოცანად დაისახეს ეს დიდად შრომატევადი სამუშაო დაკვრითი წესით შესრულონ უახლოესი 9-10 თვის განმავლობაში.



თბილისის ვაგზლის ფასადის მშენებლობა. ხურათზე: ქვაზე ამომჭრელი უშანგი მაჩაბელი მუშაობს პარაპეტის მოჩუქურთმებაზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ელექტრომექანიკური აპარატი კინოთეატრ „თბილისის“ ფოიეში

თბილისის ოლქის კინოსარემონტო სახელოსნომ დაამზადა და ამას წინათ კინოთეატრ „თბილისის“ ფოიეში გამართა ახალგაზრდა ინჟინერ ვახტანგ კვამსაძის კონსტრუქციის ელექტრომექანიკური აპარატი მაყურებელთა მომსახურებისათვის, რაც პირველია თეატრალურ პრაქტიკაში. აპარატის პროექტი მოიწონეს როგორც საკავშირო, ისე საქართველოს კინემატოგრაფიის სამინისტროებმა, აგრეთვე ხელოვნების საქმეთა საკავშირო სამმართველოსთან არსებულმა მთავარმა თეატრალურმა სამმართველომ. საექსპერიმენტო აპარატის პრაქტიკულად გამოცდა ბრწყინვალედ დაგვირგვინდა.

ეს აპარატი ბილეთის შესაძენად სალაროსთან რიგში მდგომ მაყურებლს ავტომატურად აუწყებს გაყიდული და დარჩენილი ბილეთების რაოდენობას, თავისუფალი ადგილების მდგომარეობას. საამისოდ კინოთეატრის ფოიეში მოწყობილია ელექტრომექანიკური მაკეტური გეგმა სპეციალური ეკრანით, რომელიც ასახავს მაყურებელთა დარბაზში დაკავებულ და თავისუფალ ადგილთა რაოდენობას.

სალაროში ბილეთის გაყიდვისას ეკრანზე ავტომატურად აღინიშნება კინოფილმის მსვლელობასთან დაკავშირებული ცნობები. ასეთი ავტომატიზაცია ამაღლებს მაყურებელთა კულტურული მომსახურების დონეს და ბევრად აუმჯობესებს ადმინისტრაციისა და მოლარის მუშაობას.

საექსპერიმენტო ელექტრომექანიკური აპარატის დამზადება თბილისის ოლქის კინოსარემონტო სახელოსნოში მიმდინარეობდა გამოგონების ავტორის ინჟინერ ვ. კვამსაძის ხელმძღვანელობით.

შეჯიბრება სნაიპერულ სროლაში

13 ივნისს დაიწყო შეჯიბრება სნაიპერულ სროლაში 1952 წლის პირად-გუნდური რესპუბლიკური პირველობისათვის. შეჯიბრებაში მონაწილეობენ არმიის, ავიაციისა და ფლოტის დამბმარე ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისისა და ქუთაისის ოლქების, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების ორგანიზაციების საუკეთესო მსროლელთა კოლექტივები და სნაიპერები.

შეჯიბრება 5-6 დღეს გასტანს. მთავარი მსაჯია საზოგადოების რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ხურცილავა.

ვერა ფირსოვას გასვრეღები

ამ დღეებში თბილისში საგასტროლოდ ჩამოვა მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ვერა ფირსოვა.

მომღერალი მონაწილეობას მიიღებს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამ სპექტაკლში — 19 ივნისს შესასრულებს ჯილდას პარტიას ვერდის „რიგოლეტოში“, 21 ივნისს როზინას პარტიას როსინის „სევილიელ დალაქში“ და 24 ივნისს ვიოლეტას როლს ვერდის „ტრავიატაში“.

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში

ორშაბათს, 16 ივნისს, საქართველოს თეატრალური საზოგადოება და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობა მართავენ ძველი ქართული თეატრის თვალსაჩინო მსახიობის ბაბო ავალიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს.

მოხსენებას „ბაბო ავალიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“ წაიკითხავს ალ. ბურთიკაშვილი.

მოგონებებით გამოვლენ საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ტასო ანაშიძე, შალვა დადიანი, ნიკო გვარაძე და სხვ.

დასასრულ გაიმართება მხატვრული განყოფილება.

საღამო შედგება ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ., 8) საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე.

ლექციები

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 16 ივნისს ვოროშილოვის სახელობის მედიცინის მუშაკთა სახლში (რუსთაველის პრ. № 2) აწყობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის **გ. აბელედიანის** საჯარო ლექციას თემაზე: **„ი. სტალინის გენიალური შრომა „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“.**

ლექციის დასაწყისი 8 საათსა და 30 წუთზე.

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 17 ივნისს ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. 8) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის მეცნიერებათა კანდიდატის **ხ. ინწკირველის** საჯარო ლექციას თემაზე: **„პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შეთავსება სოციალიზმის დროს“.**

ბილეთების წინასწარი შეძენა შეიძლება საზოგადოებაში (ჯაფარიძის ქ. № 4) და რწმუნებულებთან, ლექციის დღეს — საღამოს 7 საათიდან.

ლექციის დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რამდენიმე სწრაქონით

◉ **სამტრესტი შეუდგა საბჭოთა** მეურნეობებში დაკრეფილი ბლის შემოტანას თბილისში. სულ კუთარ სავაჭრო ქსელში სარეალიზაციოდ ... ქალაქში შემოიტანს 14 ტონა ბალს.

◉ **უნივერსიტეტის ქუჩაზე** № 60 მთავრდება საქართველოს ჰიდროენერგომშენებლობის მიერ შაათთვის ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის აგება. სახლში 54 ბინაა.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — სპორტი ზაფხულში.

საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი — „პრავდის“ 14-VI მოწინავე — კრიტიკისადმი ფორმალური დამოკიდებულების წინააღმდეგ.

ცნობები ფაბრიკა-ქარხნებიდან. ამერიკელი ... სის რესპუბლიკებში.

საბჭოთა მთავრობის ნოტა ვენესუელის მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ.

პასუხები მკითხველთა შეკითხვებზე.

მესამე გვერდი — ლიტერატურა და ხელოვნება — გ. ტაბიძე — რუსთაველი (ლექსი). შ. ... ლანშვილი — ახალგაზრდების შემოქმედება.

პატარა ფელეტონი.

ჩვენი მძლავრი სამშობლო.

აღმოსავლეთის ქვეყნებში — ვ. მიხაილოვი — ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობა ტრანსიორდანიაში.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. გიორგი ნიკოლოზის-ძე ზარუბინი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ამერიკის შეერთებულ შტატებში და გაათავისუფლა იგი ... ბრიტანეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ანდრია ანდრიას-ძე გრომიკო დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დიდ ბრიტანეთში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამხ. ა. ა. გრომიკო გაათავისუფლა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მოვალეობისაგან.

რედაქტორი ბ. მერკვილაძე.

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის მაუწყებლობის პროგრამა

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით.

16 ივნისს

06.25 — ხალხური საკრავთა ორკესტრის კონცერტი; 07.30 — მოცარტის სიმფონია მიბემოლ-მაჟორი; 09.20 —სიმღერები მშვიდობაზე; 11.00 — საუბარი; 11.10 — კონცერტი სიმებს და აზერბაიჯანელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან; 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები თვითმოქმედი ანსამბლების შესრულებით; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.15 — ოთარ თაქთაქიშვილის საფორტეპიანო კონცერტი; 19.15 — რესპუბლიკის სახალხო არტისტის დავით გამრეკელის კონცერტი; 19.45 — საუბარი.

რადიოსადგურებით 1500 და 59,52 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით.

20.30—რადიოსადგურებით გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; ქალაქის ქსელით პოპულარული მუსიკის კონცერტი, 20.45 — ქართული ხალხური სიმღერები; 21.00 — ლექცია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების შემსწავლელთა დასახმარებლად: ი. ბ. სტალინი — „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“; 21.30 — ჩეხური და პოლონური სიმღერები; 22.45 — ლიტერატურული გადაცემა; 23.05 — კონცერტი ლეილა გიორგაძის და ნიკოლოზ ბელაქნელის მონაწილეობით; 00.05 — პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

ორთაჭალის ჰიდროელსადგურის მშენებლობას ესახმაროვდა

ღურგლები. ელექტრომონტიორები. მებეტონეები და მუშები

მიმართეთ: 300 არაგველის აღმართი № 2, კადრების განყოფილება. ტელ. 3-07-30.

თბილისის საექსკურსიო ბაზა

ა. წ. 12 ივნისიდან ქალაქის მოსახლეობისა და მგზავრებისათვის ყოველდღიურად აწყობს

ექსკურსიებს საქართველოს სამხედრო გზაზე

საექსკურსიო საგზურის ღირებულება გადაყვანით:

თბილისი—ყაუჩიყაუ, 43 მანეთი

თბილისი—მლეთა, 21 მან. და 50 კაპ.

საექსკურსიო საგზურების წინასწარ შეძენა შეიძლება თბილისის ტურისტთა ბაზის დისპეტჩერთან დილის 8 საათიდან საღამოს 21 საათამდე. მისამართი სულხან-საბას ქ. № 11, ტელეფონი № 3-58-41.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1952 წ. 26 ივნისს, დღის 3 საათზე, № 107 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **კონსტანტინე დიმიტრის-ძე სანაია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ცნების დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგებისათვის“.**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი, დოქტორი **შ. ნუცუბიძე,** მეცნიერების კანდიდატი, დოცენტი **გ. კალანდარიშვილი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ღღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ექიმი აიბოლიტი (დილას), რიგოლეტო (საღამოს); **რუსთაველის სახელობის** — თბილისელი ქალიშვილი (დილას და საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — მარინე (დილას), ვარდი ასფურცლოვანი (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — ღრმა დაზვერვა (დილას), 30 ვერცხლი (საღამოს); **სომხური დრამის** — სოსი და ვარდიანერი (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ქორწინება (27-ე ამ. 11 ს.), ძველი ჭრილობა (28-ე და 44-ე ამ. 4 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — შინ დაბრუნება მინდა (მე-14 და 22-ე ამ. 10 ს., 24-ე და 34-ე ამ. 2 ს.), ყაჩაღები (29-ე ამ. 7½ ს.); **მუსიკალური კომედიის** — საჩუქარი; **ხანკულტურის** — მშვიდობის სიმფონია; **საქართველოს ფილარმონია** — ქართული ესტრადის ოსტატთა კონცერტი.

მოქალაქე **სედაკ გრიგოლის ასულმა ეგანიანმა,** მცხოვრებმა საბჭოს ქ. № 66, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ედუარდ მაკარის-ძე ალავერდოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლო.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილების საბავშვო ბაღების მუშაკები იუწყებიან **ქსენია სპირიდონის ასულ ჯიღლილის** გარდაცვალებას.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის პროფესორ-პედაგოგიური პერსონალი და თანამშრომლები იუწყებიან **ლამარა ვიქტორის ასულ მირზაშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მუშაკები იუწყებიან **ილია შიოს-ძე კობაიძის** გარდაცვალებას.

ერასტი და შალვა წივწივაძეები ოჯახებით იუწყებიან ბიძის **ილია წივწივაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 15-VI, 6 ს. ზოოტექნიკის ქ. № 18.

წულუკიძის რაიონის მედიცინის მუშაკთა კოლექტივი იუწყება **დავით გლახუნის-ძე ჭოლოკავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-VI, 6 ს. სოფელ სუხჩაში (წულუკიძის რაიონი).

მეუღლე ანეტა, შვილები თამარ, ქეთევან, მეხელი ზახაშვილები, შვილიშვილები თეიმურაზ, ლეილა, თამარ, სიძე ე. მარინაშვილი იუწყებიან დამსახურებული მასწავლებლის **ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ზახაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-VI სოფელ ყვარელში.

დედა ლიდა, მამა ვიქტორ, და მაყვალა იუწყებიან **ლამარა მირზაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-VI, 8 ს. გამოსვენება 17-VI, 6 ს. თარხნიშვილის ჩიხი № 4.

შვილები ზინა, დავით, ვანო, რძლები ავრაფონა, ოლია, ანიკო, შვილიშვილები კაკო, ბორის, ლენა, ივერიკო ოჯახებით, ზურაბ, ლია ლუარა, ლერი, ვაჟა ჯოხიძეები, ვახტანგ, სუზი სულავები იუწყებიან **ელიზბარ სტეფანეს-ძე ჯოხიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ნახახულევში (წულუკიძის რაიონი).

მეუღლე ელისაბედ, შვილები ვანო, გრიგოლ შეერა, ელენე, თამარ ჩახავები ოჯახებით იუწყებიან **ნესტორ ფარნაოზის-ძე ჩახავის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-VI, 8 ს. გამოსვენება 17-VI, 5½ საათზე, კლარა ცეტკინის ქ. № 20.

შვილები ნიკოლოზ, ნინო, მარო, გრიშა, ალოშა ოჯახებით იუწყებიან **ბარბალე ფარნაოზის ასულ ბურძგლას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-VI სოფელ ორაგვეში (ლენინგორის რაიონი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ეროვნებათა ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტო ტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვებლის—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

УЭ 02878